



სამკვიდროს მიუღებლობა, როგორც მამკვიდრებლის  
კრედიტორების მიმართ მემკვიდრის პასუხისმგებლობისაგან  
თავის არიდება  
ხატია გელაშვილი

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი  
თბილისი, 0186, საქართველო  
სექტემბერი 2020

საავტორო უფლება 2020 ხატია გელაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი  
სამართლის ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ხატია გელაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „სამკვიდროს მიუღებლობა, როგორც მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ მემკვიდრის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება“ და ვაძლევ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ზურაბ ძლიერიშვილი

თარიღი: 03.09.2020

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი  
სამართლის ფაკულტეტი

განაცხადი წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სტუდენტი: ხატია გელაშვილი

თარიღი: 03.09.2020

## ანოტაცია

მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებათაგან ერთ-ერთს, რომელიც დაცული და გარანტირებულია კონსტიტუციით. ეს ფაქტი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები ამ უფლების აღიარებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომი დაკავშირებულია სამკვიდროს მიუღებლობასთან, როგორც მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ მემკვიდრის პასუხისმგებლობის თავის არიდება, რაც ბოლო წლებში კიდევ უფრო ხშირია. ეს საკითხი კანონმდებლობის დონეზე მოწესრიგებული ჯერ კიდევ არ არის, ამიტომ საზოგადოებას შევთავაზებ რეკომენდაციებსაც. ნაშრომი ცხადყოფს თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული სამკვიდროს მიუღებლობის ის შემთხვევა, როდესაც მემკვიდრის ძირითადი მიზანი არის მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ დამდგარი პასუხისმგებლობისგან თავის არიდება, როგორც ანდერძით, ისე კანონით მემკვიდრეობის დროს. განხილულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც მთლიანი სამკვიდროს მიუღებლობა, ასევე მისი ნაწილის, აგრეთვე მამკვიდრებლის რამდენიმე კრედიტორის მიმართ დამდგარი პასუხისმგებლობის შემთხვევა.

აღნიშნულ ნაშრომში მეორე სირთულეს წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკაში არსებული ისეთი ფაქტები, როდესაც მამკვიდრებლის კრედიტორი ითხოვს სამკვიდროს ვადის გაგრძელებას, რადგან მემკვიდრეები გამიზნულად არ იღებენ მას კანონით განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ, სანოტარო ბიუროში არ წარადგენენ განცხადებას მის მისაღებად, თუმცა არც უარს ამბობენ მასზე ან/და მეორე შემთხვევაში, როცა სამკვიდრო არ მიუღიათ, თუმცა დასტურდება რომ ფაქტობრივად ფლობენ მას.

სამკვიდროს მიუღებლობა ფიზიკური პირების გარდა, ასევე იურიდიული პირებისგანაც ხშირადაა მოსალოდნელი, ამიტომ ნაშრომში ეს საკითხიც განიხილება.

თანამედროვე ეპოქაში, საზოგადოებრივი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე კანონში ხშირად ხდება ცვლილებები, ამიტომ ნაშრომით განხილული საკითხი აუცილებელიც კია, რომ დარეგულირდეს და მოექცეს კანონმდებლობის ფარგლებში, ამას გვიჩვენებს უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაც, რაზეც ნაშრომში ხშირადაა საუბარი.

## Abstract

The right to inheritance is one of the basic human rights, which is protected and guaranteed by the Constitution. This fact implies that the state has certain obligations to recognize this right.

The master thesis is related to the inadmissibility of the inheritance as an avoidance of the recipient of the estate's liability to the creditors of the heir, which has become even more frequent in recent years. This issue is not regulated at the legislative level yet, so I will offer recommendations to the public. The thesis reveals the difficulties associated with the case of inadmissibility of the estate, when the main purpose of the heir is to avoid liability to the creditors of the heir, by will and by inheritance. I discussed each case, the inadmissibility of the whole inheritance, also some part of the estate and the case of liability to several creditors of the heir.

The second difficulty in this issue is such facts in the court practice like when the creditor of the heir requests the extension of the term of the estate, because the heirs do not receive it intentionally within the dates which is prescribed by law, in particular, do not submit an application to the notary office, but neither refuse it and / or in the second case, they have not received it, but it is proven that they actually own it.

Inadmissibility of the inheritance is often expected not only from individuals but also from legal entities, so this issue is also discussed in this thesis.

In the modern era, the changes in the law are made often, due to the public requirements, so the issue which is discussed in this thesis is even necessary to be regulated and treated within the law, as shown by the court practise of a foreign country, which is often discussed in the thesis.

## სარჩევი

შესავალი.....	vii
თავი I. სამკვიდროს მიღება და მასზე უარი.....	12
თავი II. სამკვიდროს მიუღებლობა მამკვიდრებლის კრედიტორთა არსებობის დროს .....	19
2.1. მთლიანი სამკვიდროს მიუღებლობა მამკვიდრებლის ვალებისგან თავის .....	19
არიდების მიზნით.....	19
2.2. სამკვიდროს იმ ნაწილის მიუღებლობა, რომლითაც კანონის მიხედვით მამკვიდრებლის კრედიტორი უნდა დაკმაყოფილდეს .....	24
2.3. სამკვიდროს მიუღებლობა მამკვიდრებლის რამდენიმე კრედიტორის არსებობის დროს.....	28
თავი III. სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნა კრედიტორის მიერ ..	33
3.1. როდესაც მემკვიდრეს არ წარუდგენია განცხადება სამკვიდროს მისაღებად, თუმცა არც უარი უთქვამს მასზე.....	33
3.2. მემკვიდრეს სამკვიდრო არ მიუღია, თუმცა ფაქტობრივად დაეუფლა მას.....	40
თავი IV. სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევა, როდესაც მემკვიდრე იურიდიული პირია.....	46
თავი V. რეკომენდაცია, სამკვიდროს მიუღებლობაზე, როგორც მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ მემკვიდრის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების შემთხვევა .....	51
დასკვნა .....	60
ბიბლიოგრაფია .....	62

## შესავალი

სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში არაერთი პრობლემური საკითხის წინაშე დგას. არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა პატივისცემაზე დამყარებული სისტემის ჩამოყალიბებას. უფრო მეტიც, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებების, როგორც უზენაესი სოციალური და სამართლებრივი ღირებულების აღიარებასა და დაცვას.<sup>1</sup>

მემკვიდრეობის უფლება, სწორედ ადამიანის უფლებათა ერთ-ერთ სფეროს განეკუთვნება<sup>2</sup> და საქართველოში დაცულია კონსტიტუციით. „საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, მემკვიდრეობის უფლების ძირითადი ფუნქცია არის სამართალმემკვიდრეობით გზით საკუთრების უფლების შენარჩუნება მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ. ამ უფლების არარსებობის პირობებში ქონება ავტომატურად სახელმწიფოს ხელში გადავიდოდა, რაც თავის მხრივ დაასუსტებდა საკუთრების ინსტიტუტს. ამ პირობებში კი თავად საკუთრების უფლების არსი დაიყვანება მხოლოდ ფაქტობრივ მფლობელობამდე, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ვადით შემოიფარგლება და მხოლოდ ფაქტობრივი და არასამართლებრივი დასასრული აქვს“.<sup>3</sup> ვერ გავეცევით იმ ფაქტს, რომ ადრე თუ გვიან პირი გარდაიცვლება, „სიკვდილის კანონი უკვდავია“.<sup>4</sup> სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებზე

---

<sup>1</sup> ლობჯანიძე დ., საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივისისტემის მოდერნიზაცია, თბილისი 2008. იხ.ციტირება: აბულაძე,ლ., სამკვიდროს მიღება და მემკვიდრეთა ინტერესების დაცვის მექანიზმები,სამაგისტრო ნაშრომი,თბილისი,2019,1.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II. პ.75.

<sup>4</sup> Adam J. Hirsch, American History of Inheritance Law, OXFORD INTERNATIONAL ENCYCLOPEDIA OF LEGAL HISTORY, Stanley N. Katz ed., 2009, 235. იხ. <[https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=982428](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=982428)> [22.08.2020]

გადასვლის წესსა და ფარგლებს, შეადგენენ სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ნაწილს, რომელსაც მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება.<sup>5</sup> ქართულ საზოგადოებაში თამამად შეიძლება ითქვას, რომ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალობას არასდროს კარგავს, რადგან „პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და თვით ქონებასთან, მაგრამ იურიდიულად ქონებრივი უფლებები არ წყდება,“<sup>6</sup> თუმცა საქართველოს კანონმდებლობით ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მასთან დაკავშირებული რიგი საკითხები, როგორცაა სამკვიდროს მიუღებლობის ის შემთხვევა, როდესაც მემკვიდრეებს სურთ თავი აარიდონ მამკვიდრებლის კრედიტორებს და ამ მიზნით არ იღებენ სამკვიდროს. საქართველოს კანონმდებლობა ეხება სამკვიდროზე უარის თქმის ზოგიერთ შემთხვევას, მაგალითად: უარს სამკვიდროს ნაწილზე, უარს სხვა პირთა სასარგებლოდ, უარს რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ და სხვა, მაგრამ არაფერს ამბობს იმ შემთხვევაზე, როდესაც მემკვიდრეები სამკვიდროს არ იღებენ მხოლოდ ერთი მიზნით, როდესაც მათ სურთ მამკვიდრებლის კრედიტორების დაკმაყოფილების პასუხისმგებლობა აირიდონ თავიდან.

როგორც ვიცით მემკვიდრეობა, რომელიც გადადის მამკვიდრებლის მემკვიდრეებზე, განიხილება როგორც მამკვიდრებლის მთელი აქტივებისა და პასივების ერთობლიობა.<sup>7</sup> მამკვიდრებლის ვალები, თანაბრად მისი აქტივებისა, შედის სამკვიდრო მასის შემადგენლობაში,<sup>8</sup> მაგრამ ხშირად მემკვიდრეებს უნდათ პასუხისმგებლობა აირიდონ თავიდან მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ და ამბობენ უარს სამკვიდროზე, ან არც უარს ამბობენ და არც განცხადება შეაქვთ სანოტარო ბიუროში

---

<sup>5</sup> ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა ბონა-კაუზა, ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007,5.

<sup>6</sup> შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2011,9.

<sup>7</sup> იქვე, 29.

<sup>8</sup> ბაგრატიონი ლ., უფლებამონაცვლეობის საკითხები მემკვიდრეობის სამართალში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მაცნე, სამართალი #4, ISSN 2346-8483 (Online), თბილისი, 2015, 101.

სამკვიდროს მისაღებად, ამ დროს კი მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი დგას კითხვის ნიშნის ქვეშ.

ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომელსაც ემყარება თანამედროვე მემკვიდრეო სამართალი, არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მისი მიღების შემდგომ იგი უამრავ ცვლილებას განიცდიდა და დღემდე პერიოდულად განიცდის, თუმცა მიუხედავად ამისა სასამართლო პრაქტიკასთან მიმართებით მემკვიდრეო სამართალთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაცია არასრულყოფილია.<sup>9</sup>

სამაგისტრო ნაშრომით განვიხილავ, რა საფრთხეს შეიცავს აღნიშნული საკითხი, ასევე, შევთავაზებ რეკომენდაციას მის დარეგულირებასთან დაკავშირებით.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს სამკვიდროს მიუღებლობა, როგორც მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ მემკვიდრის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, განხილული და დამუშავებული იქნება ამ თემასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები და შესაბამისი ლიტერატურა. აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სამაგისტრო ნაშრომით გათვალისწინებული საკითხი თითქმის არაა განხილული და შესწავლილი იურიდიულ ლიტერატურაში. შესაბამისად, საკითხის შესწავლა სასამართლო გადაწყვეტილებებსა და უცხო ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით მოგვცემს საინფორმაციო ბაზას, რომელიც საწინდარი იქნება შემდგომი გამოყენებისთვის.

ნაშრომი საკმაოდ აქტუალურია, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე მემკვიდრეობის საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ კანონმდებლობაში, ამასთანავე, ამ თემასთან დაკავშირებით ძალიან მწირე ინფორმაცია მოგვეპოვება იურიდიულ ლიტერატურაში.

---

<sup>9</sup> აბულაძე,ლ., სამკვიდროს მიღება და მემკვიდრეთა ინტერესების დაცვის მექანიზმები,სამაგისტრო ნაშრომი,თბილისი,2019,3.

ნაშრომი მთლიანად იქნება სიახლე, ვინაიდან საკითხი მოწესრიგებული არ გვაქვს ქართული კანონმდებლობით. განსახილველი თემა და რეკომენდაციები, შესაძლოა საფუძველიც კი გახდეს საკითხის კიდევ უფრო მეტად გავრცობის, საკანონმდებლო მოწესრიგების და მასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისთვის.

ნაშრომის ძირითადი მიზანია განხილული იქნეს სამკვიდროს მიუღებლობასთან, კერძოდ მიუღებლობასთან, როდესაც მემკვიდრეები თავს არიდებენ მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ დამდგარ პასუხისმგებლობას და ამ მიზნით არ იღებენ სამკვიდროს. ასევე, გაანალიზებული იქნეს რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ამ საკითხის კანონმდებლობით მოუწესრიგებლობამ. ამ თემასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა.

ნაშრომის შექმნისას გამოყენებულ იქნება ქართული ლიტერატურა, საკანონმდებლო აქტები, სასამართლო პრაქტიკა, საჭიროებისამებრ, უცხოური წყაროები შედარებით-სამართლებრივი ანალიზის კუთხით.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იქნება ხუთი თავი, თავდაპირველად საუბარი იქნება შესავალზე, მის შემდგომ კი პირველ თავზე, რომელიც შეეხება სამკვიდროს მიღებასა და ზოგადად მის შინაარსს, რადგან წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი სამემკვიდრეო სამართლის სფეროს განეკუთვნება, შეუძლებელია არ შევეხოთ სამკვიდროს მიღების საკითხს და არ განვმარტოთ მისი მნიშვნელობა მემკვიდრეობით სამართალში. ასევე ამ თავში განხილული იქნება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა კანონით და ანდერძით მემკვიდრეობის დროს და მასთან დაკავშირებული საკითხები, რადგან თითოეულ შემთხვევაში ის სხვადასხვაგვარად ხდება და მნიშვნელოვანია მათ შორის სხვაობის დადგენაც.

მეორე თავში საუბარი იქნება, სამკვიდროს მიუღებლობის იმ შემთხვევაზე, როდესაც არსებობენ მამკვიდრებლის კრედიტორები და ამ

დროს მემკვიდრეები თავს არიდებენ მთლიანი სამკვიდროს მიღებას მამკვიდრებლის ვალების გამო, განხილული იქნება სასამართლო პრაქტიკაც, ასევე ქვეთავში განიხილება სამკვიდროს იმ ნაწილის მიუღებლობა, რომლითაც კანონის მიხედვით მამკვიდრებლის კრედიტორი უნდა დაკმაყოფილდეს, აქ საუბარი იქნება იმ შემთხვევაზე, როცა მამკვიდრებელსა და კრედიტორს შორის არსებობდა ისეთი სახის ხელშეკრულება, რომლითაც კრედიტორი უნდა დაკმაყოფილებულიყო და ეს მოიცავს სამკვიდროს გარკვეულ ნაწილს. აგრეთვე, ამავე თავში იქნება განხილული არა მხოლოდ მამკვიდრებლის ერთი კრედიტორის არსებობა, არამედ რამდენიმე კრედიტორის არსებობის შემთხვევა.

მესამე თავში გაანალიზებული იქნება სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნა კრედიტორის მიერ, კერძოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც მემკვიდრეს არ წარუდგენია განცხადება სამკვიდროს მისაღებად, თუმცა არც უარი უთქვამს მასზე და როდესაც მემკვიდრეს სამკვიდრო არ მიუღია, თუმცა ფაქტობრივად დაეუფლა მას. ეს საკითხები ძალზეც საინტერესოა ამ ნაშრომში განსახილველად, რადგან ესენი განიხილება მამკვიდრებლის კრედიტორებისთვის ხელჩასაჭიდ ფაქტებად, ამ დროს სასამართლოს გზით ისინი ცდილობენ მოითხოვენ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება ზემოაღნიშნული ორი შემთხვევის დროს.

მეოთხე თავში ვისაუბრებ, სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევაზე, როდესაც მემკვიდრე იურიდიული პირია და ამ დროს მემკვიდრე სამკვიდროს არ იღებს მისი კრედიტორების პასუხისმგებლობისგან თავის ასარიდებლად, ვინაიდან ანდერძით მემკვიდრეობისას, მემკვიდრე იურიდიული პირის შემთხვევებიც გვხვდება.

მეხუთე თავში წარმოდგენილი იქნება აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის რეკომენდაცია საკითხის დასარეგულირებლად და დასკვნა.

## თავი I. სამკვიდროს მიღება და მასზე უარი

სამემკვიდრეო სამართალი არის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც შეიმუშავებს და არეგულირებს მემკვიდრეობით სამართალთან დაკავშირებულ წესებს.<sup>10</sup>

სამართლებრივი ურთიერთობები, ქონებრივი და პირადი ხასიათის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც წარმოშობილი იყო ადამიანის სიცოცხლეში, მისი გარდაცვალების შემდეგ გადადის სხვა პირებზე, ამ უფლება-მოვალეობათა გადასვლას გარდაცვლილის მემკვიდრეებზე, მემკვიდრეობა ეწოდება.<sup>11</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის წიგნი მეექვსე აწესრიგებს სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებს. მამკვიდრებელი არის პირი, რომლის გარდაცვალების შემდეგ, მისი კუთვნილი ქონება გადადის სხვა პირის ან პირთა საკუთრებაში. იგი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი და ასევე უცხოელი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. მამკვიდრებელი (გარდაცვლილი პირი) შესაძლოა იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. კანონისმიერი მემკვიდრეობისას მამკვიდრებელი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი, ასევე, ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირი, ხოლო ანდერძისმიერი მემკვიდრეობისას კი მამკვიდრებელი აუცილებელია იყოს, როგორც სრულწლოვანი, ისე ქმედუუნარიანი პირი.<sup>12</sup>

<sup>10</sup> შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2011, 10.

<sup>11</sup> იხ. იქვე, 10-11.

<sup>12</sup> ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 6.

გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონება, სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) შეიძლება მოხდეს ანდერძისმიერი გზით, კანონისმიერი გზით, ანდა ორივე გზით ერთად.<sup>13</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, “მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ კანონით მემკვიდრეობის დროს - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან. ხოლო, ანდერძით მემკვიდრეობისას - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.”<sup>14</sup>

სამკვიდროს მიღება ანდერძით, კანონით ან ორივე შემთხვევის დროს სხვადასხვა გზით ხდება და თითოეულს აქვს მიღების განსხვავებული წესი<sup>15</sup>, ასევე აღნიშნული სამაგისტრო თემის განხილვისას, მნიშვნელოვანია განიმარტოს ისიც თუ რა დროს, როგორ და რა მიზეზით ხდება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა მემკვიდრის მიერ.

მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებას და კონსტიტუციით დადგენილის, რომ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება დადგენილია და აღიარებულია.<sup>16</sup> რაც შეეხება მემკვიდრეებს, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით იურიდიულ ლიტერატურაში მთელს მსოფლიოში მემკვიდრეების კანონიერი უფლებები ფართოდ განსხვავდება.<sup>17</sup> საერთო სამართლის ქვეყნებში არ არსებობს შეზღუდვები აქტივების იმ ნაწილზე, რომელიც შეიძლება ანდერძით გადაეცეს ნებისმიერ მემკვიდრეს, ხოლო სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში ასეთი

<sup>13</sup> შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2011, 18.

<sup>14</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი.

<sup>15</sup> შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2011, 17-18.

<sup>16</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-19, პუნქტი 1-ლი.

<sup>17</sup> Ellul, A., Pagano, M., Panunzi, F., Inheritance Law and Investment in Family Firms, 2010

სამართლებრივი შეზღუდვები ზოგადად არსებობს, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდება.<sup>18</sup>

იმისათვის, რომ მამკვიდრებლის ქონებაზე მემკვიდრე პირს წარმოეშვას ქონებრივი უფლებები და შემდგომ მოვალეობები, საჭიროა პირი არ იყოს ცნობილი უღირს მემკვიდრედ და ამასთანავე, გამოხატოს ნება სამკვიდროს მიღების თაობაზე.<sup>19</sup> საინტერესოა ის ფაქტი, რომ დღევანდელი კანონმდებლობით თუ მემკვიდრე შეიძლება იყოს პირი კანონით მემკვიდრეთა წრიდან და ანდერძით მამკვიდრებლის სურვილის მიხედვით ნებისმიერი პირი, ასევე იურიდიული პირიც კი, განსხვავებით დღევანდელიაგან, ზოგ ადგილას ქალები მემკვიდრეებად არ განიხილებოდნენ, კერძოდ, ინდოეთის Travancore ქრისტიანული მემკვიდრეობის აქტის (1916წ) და Cochin ქრისტიანული მემკვიდრეობის აქტის (1921წ) მიხედვით ორივე ამ ადგილის მკვიდრი ქრისტიანი ქალები მემკვიდრეებად არ განიხილებოდნენ და მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ მემკვიდრეობის მიღების უფლება.<sup>20</sup>

პირველ რიგში, ვისაუბროთ ანდერძით მემკვიდრეობის მიღებასა და მასზე უარის თქმაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „ფიზიკურ პირს, შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.“<sup>21</sup> აღნიშნულიდან ირკვევა ის, რომ მამკვიდრებელს, რომელიც არის მხოლოდ ფიზიკური პირი, გარდაცვალების შემდეგ თავისი კუთვნილი ქონება შეუძლია სრულად ან თუნდაც ნაწილობრივ დაუტოვოს ანდერძით, ერთ ან რამდენიმე პირს, ანდერძი კი აუცილებლად პირადად მამკვიდრებლის მიერ უნდა იყოს შედგენილი. ეს პირები შეიძლება იყვნენ ან მემკვიდრეთა წრიდან (რაც

<sup>18</sup> იხ. იქვე.

<sup>19</sup> ნინუა ე., - სამკვიდროს მიღების ზოგიერთი თავისებურებანი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #2/18, 2018.

<sup>20</sup> Mishra, A., Breaking Silence - Christian Women's Inheritance Rights under Indian Succession Act, 1925. Chotanagpur Law Journal, No. 9, Vol. 9, 2014-15, pg. 1-30.

<sup>21</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლი.

კანონით არის განსაზღვრული) ან სხვა პირები (არამემკვიდრეთა წრიდან), რაც აბსოლიტურად მამკვიდრებლის ნებაზეა დამოკიდებული და ამ ნებას მამკვიდრებელი ანდერძის შედგენით გამოხატავს.<sup>22</sup> თუ სახეზე გვაქვს მამკვიდრებლის დატოვებული ანდერძი ესეიგი წარმოებს ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, საქმე არის გაცილებით მარტივად და სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში იქნება იგი მიღებული.<sup>23</sup> მაგრამ საინტერესოა ანდერძით მემკვიდრეობის დროს, რატომ შეიძლება თქვას უარი ერთმა ან რამდენიმე მემკვიდრემ სამკვიდროს მიღებაზე და როგორ მოხდება ამ დროს უარის თქმა მასზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამკვიდრო შეიძლება მიიღოს მემკვიდრემ კანონით ან ანდერძით.<sup>24</sup> ანდერძით მემკვიდრეობის დროს,თუ მემკვიდრეს სურს უარი თქვას სამკვიდროზე, ამისათვის აქვს კანონმდებლობით დადგენილი სამ თვიანი ვადა და ამ ვადაში უნდა განაცხადოს მან, ეს უნდა გაფორმდეს საანოტარო ორგანოში კანონით დადგენილი სათანადო წესით. სამკვიდროს, როგორც მიღება, ასევე მასზე უარი არის ცალმხრივი გარიგება და მოქმედებს მასზე გარიგების საერთო პირობები. უარის თქმის ვადა კი აითვლება იმ დროიდან, რა დროშიც მემკვიდრემ შეიტყო ან უნდა შეეტყო რომ იგი მოწვეულია სამკვიდროს მისაღებად.<sup>25</sup> თუმცა ხშირად ჩნდება შეკითხვა თუ რატომ არ უნდა უნდოდეს მემკვიდრეს სამკვიდროს მიღება, როდესაც არსებობს ანდერძი და მამკვიდრებლის ნებაა მასში მოხსენიებულმა პირმა მიიღოს ის. ამის პასუხად, ასევე ხშირია ის ფაქტი, რომ სამკვიდროს მიღება შეიძლება არ უნდოდეთ იმის გამო, რომ არსებობენ მამკვიდრებლის კრედიტორები და სამკვიდროს მიღების შემდეგ მათ მოუწევთ კრედიტორების დაკმაყოფილება. ეს საკითხი, არც სამოქალაქო კოდექსით და არც სხვა რომელიმე კანონით არ არის დღემდე დარეგულირებული, ამიტომ რთულია

<sup>22</sup> შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2011, 44-45.

<sup>23</sup> იხ. იქვე, 1424-ე მუხლი.

<sup>24</sup> იხ. იქვე, 1421-ე მუხლი.

<sup>25</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2000, 480.

პასუხის გაცემაზე იმაზე თუ რა მოხდება იმ დროს, როცა მემკვიდრე არ მიიღებს სამკვიდროს და დასაკმაყოფილებელია მამკვიდრებლის კრედიტორი. ვინ უნდა აგოს ამ დროს პასუხი? ან როგორ მოწესრიგდება მსგავსი საკითხები? ვინაიდან ამაზე ერთობლივი პასუხი არსად არ მოიძებნება, ხშირია სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევები მსგავსი ტიპის საქმეებზე, რასაც ქვემოთ უკეთ განვმარტავ.

საინტერესოა რას ამბობს უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, ანდერძით ქონების გადაცემა/განკარგვასთან მიმართებით. პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით, ქონების განკარგვა სიკვდილის შემდეგ შეიძლება მხოლოდ ანდერძით<sup>26</sup> და შესაბამისად აქვს ამისათვის განსაზღვრული ფორმები.<sup>27</sup>

რაც შეეხება სამკვიდროს მიღებას კანონისმიერი გზით, აქ მიღების წესი განსხვავებულია ანდერძით მემკვიდრეობისგან და მოქმედებს რიგითობის პრინციპი.<sup>28</sup> შესაბამისად, ეს ცხადყოფს იმას, რომ კანონი მკაცრად განსაზღვრავს სამკვიდროს მიღების კანონისმიერ გზას, რაც აღარ საჭიროებს კიდევ უფრო მეტ განმარტებასა და დაზუსტებას მემკვიდრეთა რიგებში. საინტერესოა, როგორ ხდება ამ გზით სამკვიდროს მიღება საზღვარგარეთის ქვეყნებში, ამისათვის მაგალითად ავიღოთ გერმანიის სამოქალაქო სამართლის შემდეგი პარაგრაფები: §1924 (პირველი რიგის კანონით მემკვიდრეები), §1925 (მეორე რიგის კანონით მემკვიდრეები), §1926 (მესამე რიგის კანონით მემკვიდრეები), §1928 (მეოთხე რიგის კანონით მემკვიდრეები), §1929 (შემდგომი რიგები) არეგულირებენ კანონით განსაზღვრული მემკვიდრეების რიგითობას.<sup>29</sup> აქედან იკვეთება ის ფაქტი, რომ „ქართული სამართალი უფრო დეტალურად აღწერს პირველი რიგის მემკვიდრედ ყოფნის უფლების მქონე პირებს გერმანულისგან

<sup>26</sup> < [https://e-justice.europa.eu/content\\_succession-166-pl-en.do#toc\\_1](https://e-justice.europa.eu/content_succession-166-pl-en.do#toc_1) > [11.04.2020].

<sup>27</sup> იხ. იქვე.

<sup>28</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი.

<sup>29</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - < <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> > [11.04.2020]

განსხვავებით, რადგან გერმანული კანონმდებლობის ჩანაწერი ზოგადია და შეიძლება ითქვას რომ განმარტებას საჭიროებს ტერმინი - „მამკვიდრებლის შთამომავალი“.<sup>30</sup> ასევე უნდა აღინიშნოს ის საკითხიც, რომ ქართული სამართლისგან განსხვავებით მამკვიდრებლის მშობლები პირველი რიგის მემკვიდრეთა სიაში, არიან ხოლო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი მეორე რიგის მემკვიდრეთა სიაში. ასევე საინტერესოა ის საკითხიც, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ხუთი რიგის მემკვიდრეებს, ხოლო გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემდეგი ჩანაწერია: „მეხუთე და შემდეგი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის შორეული წინაპრები და მათი შთამომავლები.“ აქედან გამომდინარე გერმანიის სამართალი ჩანაწერს აკეთებს შემდგომ რიგზეც, თუმცა ბოჭავს ჩანაწერით, რომლითაც მემკვიდრედ ყოფნის უფლებას ანიჭებს შორეულ წინაპრებსა და მათ შთამომავლებს.“<sup>31</sup>

სამკვიდროს მიღება, როგორც ანდერძისმიერი, ასევე კანონისმიერი გზით ხდება სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენით ან ფაქტობრივად სამკვიდროს ფლობით, რაც მოწმობს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო.<sup>32</sup> სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანა ხდება უფლებამოსილი პირის მიერ წერილობითი ფორმით, რა დროსაც ნოტარიუსი ხელმძღვანელობს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით და რომლის მიხედვით უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად (თუმცა მიზანშეწონილია მიმართოს იმ სანოტარო ორგანოს, რომელიც მდებარეობს სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელ რაიონში, მაგ: გურჯაანის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთის თაობაზე მიმართოს

<sup>30</sup> ჩუბინიძე თ., მემკვიდრეობის მიღებისა და მასზე უარის თქმის ვადები სასამართლო გადაწყვეტილებებში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019, 18.

<sup>31</sup> იხ. იქვე, 18-19.

<sup>32</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი.

გურჯაანის რაიონში მდებარე სასაქონლო ბიუროს), თან წარადგინოს საჭირო დოკუმენტები, მათ შორის მამკვიდრებლის გარდაცვალების მოწმობა, რაც აუცილებელია განცხადების დასარეგისტრირებლად, ამის შემდეგ კი ნოტარიუსი ახდენს განცხადების რეგისტრაციას სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში.<sup>33</sup>

სამოქალაქო კოდექსით დარეგულირებულია მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც მემკვიდრემ ანდერძისმიერმა თუ კანონისმიერმა, სამკვიდრო მიიღო და ამის შემდეგ უნდა დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორი მიღებული წილის პროპორციულად.<sup>34</sup> შესაბამისად, ეს გულისხმობს იმას, რომ სამკვიდროს მიღების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს მემკვიდრემ მამკვიდრებლის კრედიტორი, იმ წილის პროპორციულად რაც მან კანონით ან ანდერძით მიიღო, ესეიგი მიღებული სამკვიდროს პროპორციულად, დაფუძვით, თუ სამკვიდროს ნახევარს იღებს მემკვიდრე, მაშინ მიღებული სამკვიდრო წილის ნახევრის პროპორციულად უნდა დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორი და ასე შემდეგ. მაგალითისთვის, თუ მთლიანი სამკვიდრო შეადგენს 20 000 ლარს და მემკვიდრემ მიიღო ნახევარი ანუ 10 000 ლარი, ხოლო მამკვიდრებლის დატოვებული ვალი არის 2500 ლარი, მაშინ მემკვიდრეს მოუწევს გადაიხადოს 1250 ლარი (10 000x2 500) : 20 000). გამოანგარიშება მოხდება ამ პრინციპით მიღებული სამკვიდროს პროპორციულად.<sup>35</sup>

სამკვიდროს მიღებაზე უარს მემკვიდრე კი ხშირ შემთხვევაში იმიტომ ამბობს ხოლმე, რომ მიღებული სამკვიდრო ბევრად ნაკლებია მამკვიდრებლის მიერ დანატოვარ ვალზე კრედიტორების წინაზე, ზემოთ მოყვანილი მაგალითი, რომ ავიღოთ ისევ, თუ მემკვიდრემ სამკვიდრო

---

<sup>33</sup> „სასაქონლო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანება, 78-ე მუხლი.

<sup>34</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი,თბილისი 2000, 514.

<sup>35</sup> იხ. იქვე, 514-515.

უნდა მიიღოს 10 000 ლარის ღირებულების და მამკვიდრებლის ვალი შეადგენს 15 000 ლარს, ის მთლად უარს ამბობს მის მიღებაზე იმიტომ, რომ მისი სამტკიცებელია თუ რამდენით აღემატება ის მისაღებ სამკვიდროს.

სამკვიდროს მიღებაზე უარს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აქვს სამ თვიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ დღიდან როცა მემკვიდრეს უნდა შეეტყო იმის შესახებ, რომ მოიწვიეს სამკვიდროს მისაღებად. თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რატომაც მემკვიდრემ ვერ შეძლო ამ ვადაში უარის თქმა, მისი გაგრძელება შეიძლება მხოლოდ ორი თვით სასამართლოს ნებართვით.<sup>36</sup>

## **თავი II. სამკვიდროს მიუღებლობა მამკვიდრებლის კრედიტორთა არსებობის დროს**

### **2.1. მთლიანი სამკვიდროს მიუღებლობა მამკვიდრებლის ვალებისგან თავის არიდების მიზნით**

---

<sup>36</sup> შენგელია რ., შენგელია ე., - მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011, 159.

მემკვიდრეს შეუძლია, როგორც სამკვიდროს მიღება და ამისათვის განცხადების წარდგენა სანოტარო ბიუროში, ასევე შეუძლია უარის თქმაც სამკვიდროზე.<sup>37</sup> უარი თითქოს წარმოადგენს შემთხვევით ელემენტს სამემკვიდრეო სამართალში, თუმცა აქ სხვა მიზანსაც შეიძლება ისახავდეს მემკვიდრე, შესაძლოა სულაც სამკვიდროს მიღებას არიდებდეს თავს. რიგ შემთხვევაში, თავის არიდებად შეიძლება ის ფაქტიც, როცა მემკვიდრე არ მიმართავს ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად, რა დროსაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას არ სურს მისი მიღება. თუმცა მემკვიდრის ასეთი ქცევა ხშირად აყენებს გაურკვეველ ვითარებაში, როგორც მამკვიდრებლის სხვა მემკვიდრეებს, ასევე მამკვიდრებლის კრედიტორებსაც. ამიტომაც უმჯობესია გაიმიჯნოს ხოლმე ერთმანეთისგან სამკვიდროს მიღებაზე უარს ამბობს მემკვიდრე თუ უბრალოდ თავს არიდებს მის მიღებას.<sup>38</sup> აქედან გამომდინარე, ვასკვნით ერთ ფაქტს, რომ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს, თუმცა არაფერია კანონმდებლობაში ნათქვამი სამკვიდროს მიღების თავის არიდების ფაქტზე, რაც ძალიან ბუნდოვანი საკითხია და დღემდე მოუწესრიგებელია. სწორედ, სამკვიდროს მიღებაზე თავის არიდების ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ხოლმე მამკვიდრებლის კრედიტორების არსებობა, რაც მამკვიდრებლის მემკვიდრეს აბრკოლებს სამკვიდროს მიღებისგან, რადგან ან სამკვიდროს აღმატება ვალები და ამ ფაქტების მტკიცების დრო არ აქვს და არც სურვილი ან სხვა რაიმე მიზეზი არსებობს. განვიხილოთ მამკვიდრებლის მთლიანი სამკვიდროსაგან თავის არიდების ფაქტი, სწორედ მამკვიდრებლის ვალების გამო.

სამკვიდროს მიღებისგან თავის არიდებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აქვს თავის მიზეზები, ამიტომ მემკვიდრე ხშირად ან მთლიან სამკვიდროზე აცხადებს უარს ან სამკვიდროს გარკვეულ ნაწილზე. ლუიზიანას შტატში იყო მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით ორი

---

<sup>37</sup> იხ. იქვე, 158-159.

<sup>38</sup> იხ. იქვე, 158.

გამოსავალი, პირველი გულისხმობდა უარს სამკვიდროს მიღებაზე, ხოლო მეორე სამკვიდროს მიღებას ისე, რომ მემკვიდრის პასუხისმგებლობა შეზღუდულიყო მამკვიდრებლის ვალების წინაშე.<sup>39</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ „არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით“<sup>40</sup> აქედან გამომდინარეობს ის, რომ მემკვიდრემ ან მთლიანად უარი უნდა თქვას სამკვიდროს მიღებაზე ან მთლიანად მიიღოს ის. აქ განხილულია ისეთი შემთხვევა, როდესაც მაგალითად, მემკვიდრე უარს ამბობს სამკვიდროს ნაწილის მიღებაზე იმ მოტივით, რომ სხვა მემკვიდრეები შეჰპირდნენ მისი ღირებულების გადახდას გაზრდილი ოდენობით<sup>41</sup>, ან უარი თქვას სამკვიდროს მიღებამდე იმ დრომდე სანამ სხვა მემკვიდრე მუშაობას დაიწყებს, თუ სამკვიდროს ნაწილზე ამბობს უარს ესეიგი მსგავსი დათქმით, ითვლება რომ უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე.<sup>42</sup> რამდენიმე მემკვიდრის არსებობისას საქმე უფრო რთულადაა, მაგალითად თუ მამკვიდრებელს დარჩა მეუღლე და ერთი შვილი, ხოლო სამკვიდრო ქონება არის 5000 ლარის ღირებულების და მეუღლემ უარი განაცხადა შვილის წილის მიღებაზე ეს არ ჩაითვლება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად, მაგრამ თუ იგი იტყვის უარს თავისი წილი სამკვიდროდან მხოლოდ 700 ლარის ღირებულების მიღებაზე, ხოლო 1800 ლარს იგი მიიღებს თუ არ დააკმაყოფილებს მამკვიდრებლის კრედიტორის ვალს 2000 ლარს, მაშინ გამოდის რომ მან უარი თქვა მთელ სამკვიდროზე, რადგან ამ შემთხვევაში მან გააკეთა გარკვეული დათქმა ითვლება, რომ იგი მთელ სამკვიდროზე ამბობს უარს. სწორედ, ამას ამბობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.<sup>43</sup> მარტივია შემთხვევა, როდესაც სახეზეა ერთი მემკვიდრე კანონით ან ანდერძით და მას სურს მთლიან მამკვიდრებლის

---

<sup>39</sup> Cavanaugh K.W., Problems In The Law of Succession: Creditors' Rights, 48 La. L. Review, 1988, 1100-1101.

<sup>40</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი.

<sup>41</sup> შენგელია რ., შენგელია ე., - მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011, 159.

<sup>42</sup> იხ. იქვე, 159-160.

<sup>43</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი.

დანატოვარ ქონებაზე უარის თქმა, ის როგორც ზემოთ თავში საუბრისას აღვნიშნე, უარს განაცხადებს სათანადო წესით სანოტარო ბიუროში. მაგალითად, თუ მამკვიდრებლის მთელი ქონება შეადგენს 20 000 ლარს, ხოლო პასუხისმგებლობის ფარგლები კრედიტორის წინაშე 55 000 ლარია, ასეთ შემთხვევაში მემკვიდრე ხშირად უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე, რადგან არ სურს მამკვიდრებლის მიერ დანატოვარი ვალის გასტუმრება, მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია მხოლოდ მიღებული სამკვიდროს პროპორციულად აგოს მის წინაშე პასუხი, ესეიგი დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორი 20 000 ლარით.<sup>44</sup> ამ დროს გამოდის, რომ თუ იგი იყო ერთადერთი მემკვიდრე ამ რიგის მემკვიდრეთა შორის, მაშინ სამკვიდრო გადავა შემდგომი რიგის მემკვიდრეებზე, თუ შემდგომი რიგიც უარს იტყვის მის მიღებაზე, მაშინ მომდევნო რიგზე და ასე ბოლო რიგამდე.<sup>45</sup> მაგრამ თუ გავყვებით ამ ჩამონათვალს, რა მოხდება იმ დროს, როცა სახეზე გვექნება ყველა მემკვიდრის უარი მთლიანი სამკვიდროს მიღებაზე მამკვიდრებლის კრედიტორთა არსებობის დროს? ეს საკითხი საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებული არ არის, თუმცა კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა სახელმწიფო პასუხს აგებს იმ ქონებაზე რომელიც მასზე გადავიდა, უმეტეს შემთხვევაში „უმკვიდრო ქონების“ სახელითაა ცნობილი ასეთი სამკვიდრო და განხილულია ისეთი შემთხვევები, როდესაც არც კანონით და არც ანდერძით არ არსებობენ მემკვიდრეები.<sup>46</sup> ასეთ დროს გადავა ქონება სახელმწიფოზე და მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე მიღებული წილის პროპორციულად ის აგებს პასუხს, ამ ქონების მიღებაზე უარის თქმის უფლება კი მას არ აქვს.<sup>47</sup> ხომ არ უნდა გავაიგივოთ ეს შემთხვევა სწორედ ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან? როდესაც ყველა რიგის მემკვიდრემ მთლიანად თქვა უარი სამკვიდრო ქონების მიღებაზე? ვინაიდან, არ გვაქვს

<sup>44</sup> იქვე, 1484-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 1485-ე მუხლი.

<sup>45</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2000, 485.

<sup>46</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი.

<sup>47</sup> იხ. იქვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1444-ე მუხლი, 1492-ე მუხლი.

კანონმდებლობით მოწესრიგებული ეს ფაქტი, ამიტომ მიზანშეწონილია თუ ასეთ შემთხვევას გავაიგივებთ „უმკვიდრო ქონებასთან“ რომ მამკვიდრებლის კრედიტორები დაუკმაყოფილებელნი არ დარჩნენ, რადგან რეალურად სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემდეგ აღარც კანონით მემკვიდრეები იქნებიან სახეზე და არც ანდერძით. თუ მსგავსი შემთხვევები, მოწესრიგებული იქნება ამგვარად, გაცილებით დაზღვეული იქნება მოსალოდნელი რისკისგან მამკვიდრებლის კრედიტორი და სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები დარეგულირდება მარტივად, რადგან სახელმწიფოს უმკვიდრო ქონების მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობა არ გააჩნია და მამკვიდრებლის კრედიტორიც დაკმაყოფილდება სახელმწიფოს მიერ მიღებული სამკვიდრო წილის პროპორციულად.

საინტერესოა როგორ შეიძლება დარეგულირდეს მსგავსი საკითხები უცხო ქვეყნებში, განვიხილოთ გერმანიის მაგალითი. გერმანიის კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სამკვიდროს მიღებაზე უარის შემთხვევას კანონით მემკვიდრეობის დროს და ამბობს, რომ მამკვიდრებლის ნათესავებსა და მეუღლეს შეუძლიათ უარი თქვან კანონით მემკვიდრეობაზე მამკვიდრებელთან შეთანხმებით<sup>48</sup>, ესეიგი ეს იმას ნიშნავს, რომ უარის თქმა ხდება მხოლოდ მამკვიდრებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მამკვიდრებლის სიცოცხლეშივე, რაც თავისთავად გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ამ ხელშეკრულებით მემკვიდრე ამოირიცხება კანონით მემკვიდრეთა სიიდან და აღარც მამკვიდრებლის კრედიტორებთან მოუწევს პასუხისმგებლობა. სამკვიდროზე უარის თქმა ისევე, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე გერმანიის კანონმდებლობით უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.<sup>49</sup> სამკვიდროზე უარის თქმისას, ძირითად მიზეზად გერმანიის კანონმდებლობაც განიხილავს უარს სხვა მემკვიდრეთა

---

<sup>48</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2346-ე მუხლი.

<sup>49</sup> იხ. იქვე, 2348-ე მუხლი;

სასარგებლოდ.<sup>50</sup> თუმცა საინტერესოა ის, რომ თუ საქართველოს კანონმდებლობა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას შეუქცევადად მიიჩნევს სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის შემდეგ ან სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ, გერმანიის კანონმდებლობა ამას დასაშვებად მიიჩნევს.<sup>51</sup> საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, აქაც არაფერია ნათქვამი სამკვიდროზე უარის თქმის შემთხვევაზე მამკვიდრებლის კრედიტორთა არსებობის დროს და შესაბამისად არც უარის თქმაზე სამკვიდროს ნაწილობრივ ან/და მთლიან მიღებაზე.

## **2.2. სამკვიდროს იმ ნაწილის მიუღებლობა, რომლითაც კანონის მიხედვით მამკვიდრებლის კრედიტორი უნდა დაკმაყოფილდეს**

ზემოთ თავში განხილული შემთხვევისგან განსხვავებით, აქ ისეთი შემთხვევა მოიაზრება, როდესაც მემკვიდრე უარს ამბობს სამკვიდროს მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც აკმაყოფილებს მამკვიდრებლის კრედიტორის მოთხოვნას, ხოლო სამკვიდროს დანარჩენ ნაწილზე არ ამბობს უარს. აქ ისმის შეკითხვა: როგორ უნდა დავარეგულიროთ მსგავსი ფაქტი? არის თუ არა მოწესრიგებული მემკვიდრის ამგვარი ქცევა საქართველოს კანონმდებლობით? აქ შეიძლება განხილულ იქნას კვლავ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი, რომელიც ამბობს რომ არ შეძლება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარი ნაწილობრივ.<sup>52</sup> შესაბამისად, იგულისხმება რომ მემკვიდრეს არ აქვს უარის თქმის უფლება სამკვიდროს მხოლოდ ნაწილზე. მაგალითისთვის, თუ სამკვიდრო მასა შეადგენს ერთ აგარაკს მდებარეს ქალაქ თბილისში, ორ მანქანას და წილს ერთ-ერთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში და მამკვიდრებელს ჰქონდა სესხი აღებული ერთ-ერთი პირისგან, რის სანაცვლოდაც იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება, კერძოდ ქ. თბილისში მდებარე აგარაკი,

---

<sup>50</sup> იხ. იქვე, 2350-ე მუხლი;

<sup>51</sup> იხ. იქვე, 2351-ე მუხლი;

<sup>52</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი.

მემკვიდრეს არ აქვს უფლება უარი თქვას ამ კონკრეტულ აგარაკზე და მიიღოს ორი ავტომობილი და წილი შპს-ში. ასეთი შემთხვევის დროს, თუ მემკვიდრეს სურს, რომ მიიღოს სამკვიდრო, მაშინ მთლიანად უნდა მიიღოს ის, როგორც აქტივებით, ისე პასივებით<sup>53</sup>, დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორი და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ის ორი ავტომობილის და შპს-ში წილის მესაკუთრე, სხვა შემთხვევაში სამკვიდროს ნაწილობრივ მიღება ან მასზე უარი დაუშვებელია. თუ აღმოჩნდა ისე, რომ მან უარი თქვა მხოლოდ აგარაკზე, ესეც გულისხმობს იმას, რომ მან მთლიანად განაცხადა უარი სამკვიდროზე და არა მის ნაწილზე.

ერთადერთი შემთხვევა, რა დროსაც მემკვიდრეს შეუძლია სამკვიდროს ნაწილზე თქვას უარი და ეს ჩაითვლება ნამდვილად, არის ის ფაქტი როდესაც მემკვიდრე უარს ამბობს სასოფლო-სამეურნეო მიწის მიღებაზე.<sup>54</sup> ამ დროს, უნდა გამოირკვას ის ფაქტი, მისდევს თუ არა იგი სოფლის მეურნეობას. თუ დადასტურდება, რომ იგი არ მისდევს სოფლის მეურნეობას, მაშინ მას შეუძლია თქვას უარი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, მოწყობილობის, შრომის იარაღებისა და პირუტყვის მიღებაზე, მაგრამ ეს არ ჩაითვლება საერთოდ უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე“.<sup>55</sup>

შესაბამისად, თუ მამკვიდრებელს გააჩნდა ვალდებულება კრედიტორის მიმართ და ეს ვალდებულება უზრუნველყოფილი იყო სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთით, ხოლო მემკვიდრემ უარი თქვა მის მიღებაზე, რომ არ დაეკმაყოფილებინა მამკვიდრებლის კრედიტორი და თან საამისოდ გააჩნდა დადასტურებული მიზეზი (არ მისდევდა სოფლის მეურნეობას), კრედიტორი დარჩება დაუკმაყოფილებელი ამ სამეურნეო ნაკვეთით და მოუწევს მას სასამართლოს გზით, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. მაგრამ

<sup>53</sup> შენგელია რ., შენგელია ე., - მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011, 10.

<sup>54</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2000, 482.

<sup>55</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1436-ე მუხლი.

თუ ეს ნაკვეთი არ იყო ერთადერთი ქონება, რაც შედიოდა მამკვიდრებლის სამკვიდრო მასაში, მაშინ კრედიტორს შეუძლია მემკვიდრეს მოსთხოვოს დაკმაყოფილება სამკვიდრო მასაში შემავალი სხვა ქონებითაც, თუ მემკვიდრე ამაზეც არ იქნება თანახმა, მაშინ მხოლოდ სასამართლოს გზით.

საინტერესოა, რას ამბობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაძლებელია თუ არა სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმა, კერძოდ იმ ნაწილზე რომლითაც კანონის ან ხელშეკრულების ძალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მამკვიდრებლის კრედიტორი უნდა დაკმაყოფილდეს. როგორც ჩანს, ქართული კანონმდებლობის მსგავსად, გერმანიის კანონმდებლობაც არ ითვალისწინებს სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმას ან მხოლოდ ნაწილის მიღებას „სამკვიდროს მიღება ან მასზე უარი არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მისი ნაწილით. ნაწილის მიღება ან მასზე უარი სამართლებრივი ძალის არმქონეა“.<sup>56</sup> საკითხი აქაც ქართული კანონმდებლობის მსგავსად მოწესრიგდება, როგორც ზემოთ საუბრისას აღვნიშნე.

რომაული სამართლის მიხედვით, თავდაპირველად მემკვიდრეობას განიხილავდნენ, როგორც უნივერსალურს,<sup>57</sup> თუმცა ეს იყო იმ გაგებით, რომ მოიცავდა გარდაცვლილის ყველა უფლებას და ამასთანავე მოვალეობას.<sup>58</sup> უნივერსალური იყო იმ გაგებით, რომ გარკვეული ნაწილის ან კვოტის უფლება ჰქონდათ მთელ ქონებაზე და არა მხოლოდ ქონების ცალკეულ საგნებზე.<sup>59</sup> შესაბამისად, რომაული სამართალიც ქონების ცალკეულ ნაწილებზე მოთხოვნის უფლებას არ ცნობდა და კრედიტორების დაკმაყოფილების ნაწილიც, მთელი ქონებიდან განისაზღვრებოდა.<sup>60</sup> ისტორიულად, ანგლო-ამერიკულ სამართალში და მის ქვეყნებში

<sup>56</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1950-ე მუხლი.

<sup>57</sup> Domingo, R., *The Roman Law of Succession. An Overview*, University of Navarra - School of Law, 2017, 2-3.

<sup>58</sup> იხ. იქვე, 2-3.

<sup>59</sup> იხ. იქვე, 2-3.

<sup>60</sup> იხ. იქვე, 2-3.

სასამართლო დანიშნავს ქონების ადმინისტრატორს ან თუ ანდერძით მემკვიდრეობაზე საუბარი ანდერძის აღმასრულებელს და ის განკარგავს ქონებას,<sup>61</sup> მას ევალუა რომ ამ ქონების განკარგვის პერიოდში დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორი<sup>62</sup> და თუ ქონებიდან რაიმე რჩება, მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს იგი მემკვიდრეებს.<sup>63</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩავატარე ინტერვიუ ნოტარიუს დავით ოყროშიძის ყოფილ თანაშემწესთან არჩილ ხუციძესთან, რომელმაც განაცხადა რომ „ზოგადად სამკვიდროს მიუღებლობასთან დაკავშირებით, როდესაც მამკვიდრებლის კრედიტორები არიან დასაკმაყოფილებელი, მემკვიდრეები იშვიათად მიმართავენ ხოლმე სანოტარო ბიუროებს კონსულტაციისთვის და ისეთი ფაქტებიც იშვიათია, როდესაც უარის თქმა სურთ სწორედ ამ მოტივით, თუმცა გვქონია შემთხვევა, როდესაც დავამოწმეთ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ბანკსა და ერთ-ერთ პირს შორის, გარკვეული ხნის შემდეგ ეს პირი გარდაიცვალა და მისმა მემკვიდრემ მოგვმართა კონსულტაციისთვის და ამბობდა, რომ უარი უნდა ეთქვა სამკვიდროს მიღებაზე, რადგან სამკვიდრო მასა არ იყო საკმარისი ბანკის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ჩვენგანაც მიიღო შესაბამისი კონსულტაცია, თუ როგორ უნდა ემოქმედა აღნიშნულ სიტუაციაში, კონსულტაციის სახით ვუთხარით, რომ უარის თქმას არანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგან ბანკი სასამართლოს გზით მაინც შეეცდებოდა თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ და კიდევ მსგავს სხვა შემთხვევებში, კრედიტორები მაინც შეიტანენ სასამართლოში სარჩელს თავიანთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მემკვიდრეების მიერ სამკვიდროზე უარის თქმა კი უბრალოდ იქნება დროის გახანგრძლივება“.<sup>64</sup>

<sup>61</sup> Wormser R. A., Burchard A., ADMINISTRATION OF GERMAN DECEDENTS' ESTATES, 1934, 40-41.

<sup>62</sup> იხ. იქვე.

<sup>63</sup> იხ. იქვე.

<sup>64</sup> ინტერვიუ ნოტარიუს დავით ოყროშიძის ყოფილ თანაშემწესთან არჩილ ხუციძესთან (ამჟამად ნოტარიუსის შემცვლელთა სიაში, ნოტარიუსობის კანდიდატი), [21.08.2020წ].

### 2.3. სამკვიდროს მიუღებლობა მამკვიდრებლის რამდენიმე კრედიტორის არსებობის დროს

მნიშვნელოვანია, ნაშრომში განვიხილოთ ისეთი შემთხვევაც როდესაც მამკვიდრებელს ჰყავს არა ერთი, არამედ რამდენიმე კრედიტორი და როგორ უნდა მოვაწესრიგოთ ასეთი შემთხვევა, როდესაც მემკვიდრე თავს არიდებს მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ ვალდებულების შესრულებას. როგორც ვიცით, „მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად“<sup>65</sup>, სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრეები აკმაყოფილებენ მამკვიდრებლის კრედიტორებს, იქნებიან ისინი ანდერძით თუ კანონით მემკვიდრეები, სამკვიდროდან თავიანთი მიღებული წილის პროპორციულად, ამიტომ უნდა გამოანგარიშდეს თითოეული მემკვიდრის მიერ გადასახდელი თანხა მამკვიდრებლის კრედიტორისადმი.<sup>66</sup> შესაბამისად, თუ მამკვიდრებლის კრედიტორების ვალი უფრო მეტია, ვიდრე სამკვიდრო მასაში შემავალი ქონება, კრედიტორების მოთხოვნების ნაწილი დარჩება დაუკმაყოფილებელი.

მემკვიდრეებისთვის თუ ცნობილია, მამკვიდრებლის ვალების შესახებ მათ უნდა შეატყობინონ კრედიტორებს სამკვიდროს გახსნის შესახებ, ამ ვალდებულებას მათ კანონი პირდაპირ აკისრებთ.<sup>67</sup> თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ამის შესახებ მემკვიდრეებმა არ იციან და შესაბამისად არ ატყობინებენ მამკვიდრებლის კრედიტორებს, ან იციან და განზრახ არ ატყობინებენ მათ. ამ დროს შეტყობინების ვალდებულება სანოტარო ორგანოებს ან სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ამის

<sup>65</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლი.

<sup>66</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2000, 514.

<sup>67</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1487-ე მუხლი.

თაობაზე ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში.<sup>68</sup> არსებობს შემთხვევებიც, როდესაც მემკვიდრეები მამკვიდრებლის მიერ კრედიტორების წინაშე ვალდებულების შესახებ იტყობენ სანოტარო ორგანოში სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანის შემდეგ, ამის შემდეგ კი მემკვიდრეებს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის უფლება აღარ აქვთ.<sup>69</sup> მამკვიდრებლის კრედიტორების შეტყობინებასთან დაკავშირებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ამბობს შემდეგს „სამკვიდრო ქონების კრედიტორებს შეიძლება შესთავაზონ თავიანთი მოთხოვნების შესახებ განცხადების გაკეთება გამოწვევითი წარმოების გზით“.<sup>70</sup>

მიუხედავად იმისა, მემკვიდრე მიიღებს თუ არა სამკვიდროს, მამკვიდრებლის კრედიტორებს თავიანთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უფლება აქვთ აცნობონ მემკვიდრეებს. კანონის თანახმად, მოთხოვნის წარდგენის ვადად განისაზღვრება ექვსი თვე „იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ.“<sup>71</sup> ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს მოთხოვნის ვადა დამდგარია თუ არა. მაგალითად, თუ მამკვიდრებელს კრედიტორთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ვალი უნდა გადაეხადა სამი წლის განმავლობაში, მაგრამ მამკვიდრებელი გარდაიცვალა ხელშეკრულების დადებიდან ორ წელში და მოთხოვნის ვადამდე კიდევ ერთი წელია დარჩენილი, კრედიტორმა მაინც ექვს თვეში უნდა წარადგინოს მოთხოვნა იმ დღიდან, რაც შეიტყო სამკვიდროს გახსნის შესახებ.<sup>72</sup>

მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნის წარდგენის ექვს თვიან ვადასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეში აკეთებს საინტერესო განმარტებას: „პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმ

---

<sup>68</sup> შენგელია რ., შენგელია ე., - მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011, 185.

<sup>69</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლი.

<sup>70</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1970-ე მუხლი.

<sup>71</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლი.

<sup>72</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2000, 516.

საკითხის გარკვევა, თუ როდიდან იწყება სსკ-ის 1488.1 მუხლით გათვალისწინებული ექვსთვიანი ვადის ათვლა. მითითებული ნორმა ადგენს, რომ ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, რაც მამკვიდრებლის კრედიტორებმა შეიტყვეს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა ამავე ნორმის მიხედვით, მამკვიდრებლის მემკვიდრეებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინონ იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადის ათვლისათვის მხოლოდ იმის ცოდნა, რომ სამკვიდრო გაიხსნა, საკმარისი არაა, მამკვიდრებლის კრედიტორებმა უნდა იცოდნენ, ასევე, იმ მემკვიდრეთა ვინაობა, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, რათა მათ წარუდგინონ მოთხოვნა. კანონი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების ორ გზას ადგენს, კერძოდ, სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით და ნოტარიუსისათვის განცხადების წარდგენით (სსკ-ის 1421-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორებისათვის ცნობილია, როგორც სამკვიდროს გახსნის, ასევე, იმ მემკვიდრეთა შესახებ, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, მაშინ კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ სამკვიდროს გახსნის შესახებ ცნობის მიღებიდან ექვს თვეში. ამასთან, შესაძლებელია, კრედიტორებმა იცოდნენ სამკვიდროს გახსნის თაობაზე მამკვიდრებლის გარდაცვალების დღესვე, მაგრამ სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა შესახებ მათ ვერ შეიტყონ სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვს თვეში, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ნოტარიუსს განცხადებით მიმართავს სსკ-ის 1424-ე მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადის ბოლო დღეს ან კრედიტორისათვის არაა ცნობილი იმ ფაქტების თაობაზე, რომლებიც მემკვიდრის მიერ ამავე ვადაში სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას ადასტურებს. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, სამკვიდროს მიღების თაობაზე კრედიტორებისათვის ცნობილი ხდება მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო მოწმობის აღების შემდეგ ან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ასეთ

დროს, მამკვიდრებლის კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ გონივრულ ვადაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე.<sup>73</sup>

სხვა შემთხვევად განიხილება, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა გარკვეული მიზეზების გამო არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ და გაიგეს მოთხოვნის დადგომის დღეს ან უფრო ადრე. „მაშინ მათ მოთხოვნა მემკვიდრეებს უნდა წარუდგინონ მოთხოვნის ვადის დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში“. <sup>74</sup> ხოლო თუ მამკვიდრებლის კრედიტორები აღნიშნულ წესს არ დაიცავენ დაკარგავენ მოთხოვნის უფლებას.<sup>75</sup>

საინტერესოა, როგორ არიან პასუხისმგებელი მამკვიდრებლის ვალებისთვის მემკვიდრეები სხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. ავიღოთ პოლონეთის მაგალითი, აქ კანონმდებელი ამბობს, რომ მემკვიდრეებს ეკისრებათ შეუზღუდავი პასუხისმგებლობა გარდაცვლილის სესხებისათვის.<sup>76</sup> მემკვიდრეებს შეუძლიათ შეზღუდონ თავიანთი პასუხისმგებლობა ინვენტარიზაციას დაქვემდებარებული მემკვიდრეობის მიღებით.<sup>77</sup> ასეთ შემთხვევებში მემკვიდრეებმა უნდა გააკეთონ შესაბამისი განცხადება ნოტარიუსის ან კომპეტენტური სასამართლოს წინაშე ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მათ შეიტყვეს მემკვიდრეობის შესახებ. მემკვიდრეები პასუხისმგებლობით ეკიდებიან გარდაცვლილის სესხებს.<sup>78</sup>

საყურადღებოა, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრე სამკვიდროს არ იღებს და მამკვიდრებლის რამდენიმე

---

<sup>73</sup> ნაჭყებია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019, ISBN 978-9941-8-1948-3(online), გვ:177, საქმე №ას-303-285-2014, 30 ოქტომბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

<sup>74</sup> შენგელია რ., შენგელია ე., - მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011, 186.

<sup>75</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლი.

<sup>76</sup> < [https://e-justice.europa.eu/content\\_succession-166-pl-en.do#toc\\_1](https://e-justice.europa.eu/content_succession-166-pl-en.do#toc_1) > [22.04.2020]

<sup>77</sup> იხ. იქვე.

<sup>78</sup> იხ. იქვე.

კრედიტორმა უკვე წარადგინა მოთხოვნა. ამ დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნე მოთხოვნის დაკმაყოფილება კრედიტორებს კვლავ სასამართლო გზით მოუწევთ, უნდა შეიტანონ პირველ ინსტანციაში სარჩელი მოპასუხის (მემკვიდრის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით<sup>79</sup> და მოითხოვონ, რომ მამკვიდრებლის ქონებაზე ცნონ მესაკუთრედ და ამასთანავე, დაფარონ ის გადასახადი, რაც მათ გააჩნიათ მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ. რაც შეეხება მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილების წესს და მათ რიგითობას, ამაზე კანონმდებლობა საუბრობს და ამბობს იმას, რომ „კრედიტორთა მოთხოვნები მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი“<sup>80</sup> ეს ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად იმისა, მემკვიდრეები მიიღებენ თუ არა სამკვიდროს კანონით განსაზღვრულ ვადებში და პირობებში, კრედიტორებს მაინც შეუძლიათ სასამართლო გზით დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნა, რა დროსაც კრედიტორები უნდა დაკმაყოფილდნენ ერთჯერადი გადახდის გზით, ანუ ერთიანი გადახდით ან უნდა მოხდეს შეთანხმება კრედიტორებსა და მემკვიდრეებს შორის და განისაზღვროს გადახდის სხვანაირი პირობა, მაგალითად ან ნაწილ-ნაწილი გადახდა ან კიდევ სხვა სახით შეთანხმება.<sup>81</sup>

აქ განსახილველია ის შემთხვევაც, თუ როგორ შეიძლება დადგინდეს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა და ის შემთხვევაც, როდესაც მემკვიდრე ან არ აკმაყოფილებს არცერთ კრედიტორს ან აკმაყოფილებს ერთს ან რამდენიმეს. პირველ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე უარს ამბობს მამკვიდრებლის ყველა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და შესაბამისად სამკვიდროსაც საერთოდ არ იღებს, კრედიტორები იძულებულნი ხდებიან სასამართლო გზით მოითხოვონ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება, იმავე გზით როგორც

<sup>79</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი.

<sup>80</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1494-ე მუხლი.

<sup>81</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2000, 520.

ზემოთ ვისაუბრეთ, ხოლო მეორე შემთხვევაში თუ მემკვიდრე თანახმაა დააკმაყოფილოს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კრედიტორი და არა ყველა, მაშინ როგორი სახით იქნება კრედიტორების დაკმაყოფილება სამართლიანი? ამაზე კანონმდებლობა, არ გვამლევს ერთიან პასუხს, აქ შეიძლება გამოვიყენოთ სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი ნაწილიდან კრედიტორთა სიმრავლესთან დაკავშირებული მუხლები და კრედიტორთა დაკმაყოფილება მოვახდინოთ ამ გზით. „თითოეული კრედიტორი ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე უნდა იყო სუფლებამოსილი. კანონმდებელი არ აკონკრეტებს, თუმცა მართებული იქნება თუ ვიტყვით რომ კრედიტორები მსგავსი შესრულების მოთხოვნაზე უნდა იყვნენ უფლებამოსილნი.“<sup>82</sup>

### **თავი III. სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნა კრედიტორის მიერ**

#### **3.1. როდესაც მემკვიდრეს არ წარუდგენია განცხადება სამკვიდროს მისაღებად, თუმცა არც უარი უთქვამს მასზე**

წინა თავში ჩვენ აღვნიშნეთ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის შესახებ, კერძოდ ის რომ მემკვიდრემ სამკვიდრო უნდა მიიღოს სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილ ექვს თვიან ვადაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.<sup>83</sup> თუმცა ყურადღება არ გავვიმახვილებია იმაზე, რომ არის თუ არა შესაძლებელი სამკვიდროს მიღება ექვს თვიანი

<sup>82</sup> რობაქიძე ი. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 455, < <http://www.gccc.ge/> > [20.05.2020]

<sup>83</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლი .

ვადის გასვლის შემდეგ და შეუძლიათ თუ არა მამკვიდრებლის კრედიტორებს მოითხოვონ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის აღდგენა იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრე განზრახ არ იღებს სამკვიდროს, არ შეაქვს განცხადება სანოტარო ორგანოში მის მისაღებად, თუმცა არც უარი განუცხადებია მასზე. ამასთან დაკავშირებით დეტალურად წინამდებარე თავში ვისაუბრებთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლში საუბარია სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებაზე, კერძოდ მითითებული მუხლის 1-ლი პუნქტი ამბობს: „სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე.“<sup>84</sup> შესაბამისად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვს თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, როგორც მემკვიდრეს, ასევე კრედიტორს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სამკვიდროს ვადის მიღების გაგრძელების თაობაზე, თუმცა მხოლოდ სასამართლოსთვის მიმართვა ვერ გვამლევს იმის გარანტიას, რომ სასამართლო ამ ვადას აუცილებლად გააგრძელებს და მისცემს უფლებას მემკვიდრეს მიიღოს სამკვიდრო ან მისცემს უფლებას კრედიტორს დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სასამართლოს მიმართვის გზით. აქ მნიშვნელოვანია, სასამართლომ დაადგინოს იყო თუ არა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლა საპატიო მიზეზით გამოწვეული. რა შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად ამას კანონი აღარ გვიკონკრეტებს და სავარაუდოდ, სასამართლო ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს თავად დაადგენს უნდა ჩაითვალოს თუ არა ვადის გასვლა საპატიოდ. ამასთანავე, კანონმდებელი გვამლევს მეორე ალტერნატივის არჩევის შესაძლებლობასაც და გვეობნება, რომ შესაძლებელია სამკვიდროს მიღება ვადის გასვლის შემდეგ, სასამართლოს მიმართვის გარეშეც, რა დროსაც

---

<sup>84</sup> იხ. იქვე, 1426-ე მუხლი.

საჭიროა სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრის თანხმობა, თუმცა თუ მამკვიდრებლის კრედიტორი ითხოვს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის სასამართლოს გზით აღდგენას, აქ თავისთავად უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ მემკვიდრეები ვადის აღდგენაზე სასამართლოს გარეშე თანახმა არ არიან.

უცხოური იურიდიული ლიტერატურა განიხილავს ოჯახური ურთიერთქმედების მოტივებს და ნიმუშებს, ასევე დეფინიციებსაც. სამკვიდროს მისაღებად გვთავაზობს მოტივების დაჯგუფებასაც შემდეგი სახით: ალტრუიზმი, თანასწორობა, გაცვლა და ეგოიზმი. თითოეულს უკავშირებს თავის მოტივს, თუ რა მიზნით შეიძლება მიიღოს მემკვიდრემ სამკვიდრო მასა, ბოლო მოტივად ასახელებს ეგოიზმს, სადაც ერთ-ერთ სამკვიდროს მისაღებ მიზნად განხილული აქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც მემკვიდრის ერთადერთი მიზანი არის სამკვიდროდან სარგებლის მიღება.<sup>85</sup> სწორედ ეს მიზანი შეიძლება დავუკავშიროთ სამკვიდროს მიუღებლობის იმ შემთხვევას, როდესაც მემკვიდრე განცხადებას არ წარადგენს სანოტარო ორგანოში, თუმცა არც უარს აცხადებს სამკვიდროზე. ეს ისეთი ფაქტია, როდესაც მემკვიდრის წინასწარ განზრახულ მიზანს წარმოადგენს არ მიიღოს სამკვიდრო, რათა მან იცის, რომ არსებობენ კრედიტორები, რომლებიც შემდგომ მოითხოვენ მემკვიდრისგან თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ამიტომ გამიზნულად არ შეაქვს განცხადება და რადგან კანონით განსაზღვრული წესით არც უარს ამბობს მასზე უნდა ჩაითვალოს, რომ სამკვიდროსგან უნდა მხოლოდ სარგებლის მიღება, კერძოდ არ მიიღოს ის, რადგან არ დააკმაყოფილოს კრედიტორი, ხოლო თუ მამკვიდრებლის კრედიტორები არ გვეყოლებოდნენ, ის უარს დიდი ალბათობით არ განაცხადებდა სამკვიდროზე.

---

<sup>85</sup> Sousa, L. The family inheritance process: motivations and patterns of interaction, 2010. იხ. <[https://www.researchgate.net/publication/226734632\\_The\\_family\\_inheritance\\_process\\_Motivations\\_and\\_patterns\\_of\\_interaction](https://www.researchgate.net/publication/226734632_The_family_inheritance_process_Motivations_and_patterns_of_interaction)> [11.06.2020]

ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, რაზეც ამ თავში გვაქვს საუბარი, სასამართლო პრაქტიკა ხშირია, მემკვიდრეები ხშირად არიდებენ თავს საამკვიდროს მიღებას იმ მოტივით, რომ არ დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორები, არ შეაქვთ განცხადება სანოტარო ბიუროში, რომ მიიღონ იგი და არც უარს ამბობენ მის მიღებაზე ასევე განცხადების წარდგენის გზით სანოტარო ბიუროში. ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით, უზენაეს სასამართლოს არაერთხელ მიმართავენ, განვიხილოთ ერთ-ერთი გადაწყვეტილების მაგალითზე (საქმე №ას-883-833-2015). აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა სარჩელს, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა მემკვიდრეების უფლებამონაცვლედ ცნობას, რადგან მემკვიდრეებს მიეღოთ სამკვიდრო და გადაეხადათ მოსარჩელის ვალი. აღნიშნულ საქმეში, მოსარჩელე მხარედ წარმოდგენილი იყო ბანკი, რომელმაც გასცა სესხი პირის (მამკვიდრებლის) სახელზე, უზრუნველსაყოფად კი იპოთეკით დაიტვირთა სამი სხვა პირის კუთვნილებაში არსებული უძრავი ქონებები, მსესხებელი(მამკვიდრებელი) ვალს არ იხდიდა და ამიტომ ნოტარიუსმა გასცა სამი სააღსრულებლო ფურცელი 2013 წლის 26 აპრილს, „რომელთა თანახმადაც, 1 516 441.18 აშშ დოლარისა და 53 572.35 ლარის დავალიანების უზრუნველსაყოფად, იძულებითი წესით, უნდა რეალიზებულიყო ხსენებული უძრავი ქონებები. 2013 წლის 16 მაისს მოვალე გარდაიცვალა, რის გამოც 2013 წლის 26 აპრილს გაცემული სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება შეჩერდა. მამკვიდრებლის ქონებაზე სამკვიდრო მოწმობა კანონით დადგენილი წესით არ გაცემულა, ესეიგი მემკვიდრეებმა სამკვიდრო არ მიიღეს კანონით დადგენილ ექვს თვიან ვადაში, რის შემდეგაც 2014 წლის 18 მარტს ბანკმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მამკვიდრებლის ცოლ-შვილის წინააღმდეგ. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით ბანკის სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად ცნო მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლომ

დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხეების (პირველი რიგის მემკვიდრეების: მეუღლე და შვილი) მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი (სსკ-ის 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მამკვიდრებლის მეუღლისა და შვილის მიერ, 2015 წლის 23 იანვარს, სასამართლო სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, მამკვიდრებელს დარჩა ვალები, ხოლო ტანსაცმელი მემკვიდრეებმა სხვა მესამე პირებს აჩუქეს. სასამართლომ განმარტა, რომ, სსკ-ის 1332-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროში არ შედის და მემკვიდრეთა შორის არ გაიყოფა საგვარეულო წიგნები (ან ჩანაწერები), ოჯახური მატიანე, სულის მოსახსენებელი და სხვა საკულტო საგნები და საფლავი. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ ნორმაში ამომწურავადაა მითითებული, თუ რა ნივთები არ შედის სამკვიდრო მასაში. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის ტანსაცმელი, რომელიც სამკვიდრო მასის ნაწილია, მიიღეს გარდაცვლილის კანონიერმა მემკვიდრეებმა, რაც დასტურდება მათივე განმარტებით. სათანადო წესით დაუფლების შემდეგ, მემკვიდრეებმა განკარგეს სამკვიდრო, როდესაც გააჩუქეს ტანსაცმელი.<sup>86</sup> შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს უკვე ფაქტობრივ ფლობად ითვლებოდა ის, რომ მათ გაასხვისეს მამკვიდრებლის ტანსაცმელი, რადგან ის შედის სამკვიდრო მასაში და სამკვიდრო მიღებულად ჩათვალეს მისი ფაქტობრივი მფლობელობის გზით. ამასთან დაკავშირებით, მემკვიდრეებმა (მოპასუხეებმა) აღნიშნეს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არასწორი იყო და უნდა გაუქმებულიყო, რაც აპელაციის გზით გასაჩივრდა მათ მიერ: სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობად არ უნდა ჩათვლილიყო ჩვენს მიერ მამკვიდრებლის ტანსაცმლის გასხვისება და არ უნდა მიჩნეულიყო ეს სამკვიდროს მიღებადო, ჩვენ არ გვქონია სამკვიდროს მიღების მიზანი, რადგან ვალების გარდა არანაირი ქონება არ გააჩნდა მამკვიდრებელს.“

---

<sup>86</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება №ას-883-833-2015.<<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> [20.04.2020]

შესაბამისად, მოვალის მეუღლის განცხადება მამკვიდრებლის კუთვნილი ტანსაცმლის განკარგვის თაობაზე არ უნდა მიჩნეულიყო სამკვიდროს მიღებად.<sup>87</sup> სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ფაქტები დადგენილად მიიჩნია. „სასამართლომ მოვალის მემკვიდრეთა განმარტებების საფუძველზე დაადგინა, რომ ისინი დაეუფლენ და განკარგეს მამკვიდრებლის დანაშთი სამკვიდრო ქონება, საიდანაც გარდაცვლილის ტანსაცმელი გააჩუქეს, რითაც ფაქტობრივი ფლობით მიიღეს მოვალის სამკვიდრო. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოვალის მემკვიდრეთა პოზიცია, რომ მამკვიდრებლის ტანსაცმელი არ წარმოადგენდა სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებას.“<sup>88</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში უდავო იყო, რომ მოპასუხეები წარმოადგენდნენ გარდაცვლილი მოვალის პირველი რიგის მემკვიდრეებს: მეუღლესა და შვილს; ასევე, უდავო იყო, რომ მათ სანოტარო ორგანოში სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადება არ შეუტანიათ.<sup>88</sup> მოპასუხეებმა (მემკვიდრეებმა) კვლავ გაასაჩივრეს გადაწყვეტილება საკასაციო წესით, კასაციამ კანონით დადგენილი წესით შეამოწმა და ცნო დაუშვებლად, თუმცა განმარტების სახით მაინც გააკეთა მითითება და აღნიშნეს, რომ უდავოა რომ ისინი არიან ნამდვილად მემკვიდრეები, თუმცა სადავო ფაქტად მიიჩნიეს სამკვიდროს მიღებად ჩაითვლებოდა თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი დაუფლება, ასევე აღნიშნეს, რომ მათ მამკვიდრებლის ვალების შესახებ იცოდნენ, არ მიმართეს სანოტარო ორგანოს სამკვიდროს მისაღებად, რაც ითვლება კრედიტორების კანონიერი ინტერესის საფრთხის ქვეშ დაყენებად, მოითხოვონ ვალდებულების შესრულება მოვალის მემკვიდრეებისგან. ასევე, დაადგინეს, რომ უდავოდ ითვლებოდა მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების გზით სამკვიდროს, როგორც აქტივების, ისე პასივების მიღება.

---

<sup>87</sup> იხ. იქვე.

<sup>88</sup> იხ. იქვე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ თუ მემკვიდრეს არ შეაქვს განცხადება სამკვიდროს მისაღებად სანოტარო ორგანოში, თუმცა არც უარს აცხადებს მასზე, როდესაც იცის რომ მამკვიდრებელს აქვს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე, ეს საფრთხის ქვეშ აყენებს კრედიტორებს, რომ დაიკმაყოფილონ თავის მოთხოვნა, ამ დროს ყველა შემთხვევაში კრედიტორი მოითხოვს, რომ სამკვიდროს მიღების ვადა აღუდგეთ მემკვიდრეებს სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

საინტერესოა, როგორ რეგულირდება მსგავსი საკითხები უცხო ქვეყნის კანონმდებლობით. ამასთან დაკავშირებით, საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამემკვიდრეო საქმეების წარმოება მიმდინარეობს, მემკვიდრეობის სასამართლოში. განსხვავებით ქართული მემკვიდრეობის სამართლისაგან, როდესაც მემკვიდრე არც უარს ამბობს და არც იღებს სამკვიდროს, ჩვენი კანონმდებლობით, თუ უფლებამოსილ მხარეს (ჩვენს შემთხვევაში მამკვიდრებლის კრედიტორს) შეუძლია სასამართლოში სარჩელის აღძვრის გზით მოითხოვოს პირების მემკვიდრეებად ცნობა, საბერძნეთის მემკვიდრეობის სასამართლო ისეთ სამკვიდროს, რომელზეც არ გამოთქმულა არც მიღების სურვილი და არც უარი, უწოდებს „ვაკანტურ სამკვიდროს“- „*succession vacante*“ და სამოქალაქო კოდექსის 1865 მუხლის თანახმად, „მემკვიდრეობის სასამართლო, ნებისმიერი კანონიერი ან სახაზინო ინტერესის მქონე პირის მოთხოვნის საფუძველზე ნიშნავს სამკვიდრო კურატორს. გადაუდებელ შემთხვევაში პროკურორი ნიშნავს დროებით კურატორს. ამ უკანასკნელმა უმოკლეს ვადაში უნდა დაანიშნინოს სასამართლოს საბოლოო კურატორი.“<sup>89</sup> ეს არის შემთხვევა, როდესაც დაუდგენელია მემკვიდრე იღებს თუ არა სამკვიდროს, რაც ჩვენს მიერ განხილული საკითხის ანალოგად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან არაა დადგენილი მემკვიდრეს

---

<sup>89</sup> საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი, 1865 მუხლი.

[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreob\\_a.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreob_a.pdf)

სურს თუ არა მიიღოს სამკვიდრო, ვინაიდან არც უარს აცხადებს მასზე კანონით დადგენილი წესით და სურვილს გამოთქვამს მის მიღებაზე, კერძოდ ოთხი თვის ვადაში, არ განაცხადებს უარს მომრიგებელი სასამართლოს სამდივნოში განცხადების მეშვეობით.<sup>90</sup>

### 3.2. მემკვიდრეს სამკვიდრო არ მიუღია, თუმცა ფაქტობრივად დაეუფლა მას

როგორც ზემოთ თავებში საუბრისას აღვნიშნეთ, სამკვიდროს მიღების ორი გზა არსებობს, ერთი ესაა სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენა, ხოლო მეორე სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა და მართვა, რაც მოითხოვს სათანადო წესით დადასტურებას. „ცხოვრებაში მესაკუთრისა და მფლობელის ხშირი თანხვედრის გარემოებითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ რომის სამართლის ეპოქიდან მოყოლებული, სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთრების უფლების შეძენის ზოგიერთი თავდაპირველი საშუალების არსს ნივთის ფლობის ფაქტი შეადგენს“.<sup>91</sup> „ფაქტობრივი ფლობა ნიშნავს, რომ პირმა ფიზიკურად უნდა მიიღოს და ფაქტობრივად შეუდგეს მის ფლობას ან მართვას“.<sup>92</sup> სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა და მართვა ხორციელდება სხვადასხვა გზით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს ფლობის ფაქტი დადგენილი, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში ფაქტობრივი ფლობის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმად ითვლება „მემკვიდრის ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში, რომელშიც მამკვიდრებელი ცხოვრობდა“.<sup>93</sup> ეს ყოველთვის განიხილება სამკვიდროს მიღებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თვით მემკვიდრე არ განაცხადებს უარს სამკვიდროს

<sup>90</sup> იხ. იქვე, 1848-ე მუხლი.

<sup>91</sup> ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2015, 19.

<sup>92</sup> აბულაშვილი თ., სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა, თბილისი, 2019, 34.

<sup>93</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2000, 468.

მიღებაზე კანონით დადგენილი წესით.<sup>94</sup> ასევე, სამკვიდროს მიღების ფაქტის დადასტურებად, მიიჩნევენ ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მემკვიდრე შეუდგება მამკვიდრებლის ნივთების ფლობას.<sup>95</sup> ფლობა შეიძლება აქაც გამოიხატოს სხვადასხვა გზით, მაგალითად მამკვიდრებლის კუთვნილი ნივთების საკუთრივ გამოყენება ან გასხვისება მემკვიდრის სურვილისამებრ, ასევე ფაქტობრივ ფლობად განხილულია ისეთი შემთხვევებიც ხოლმე, როდესაც მემკვიდრე პირდაპირი გზით მფლობელობას<sup>96</sup> არ ახორციელებს სამკვიდრო ქონებისას, თუმცა ფაქტობრივად მართავს მას. მაგალითად, მას შემდეგ რაც სამკვიდრო გაიხსნა, იხდის ქონების გადასახადებს, აგრეთვე ითხოვს ქირის გადახდას ან ახდევინებს ქირას მამკვიდრებლის ქონების დამქირავებელს.<sup>97</sup> სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობაზე, სააპელაციო პალატაც ამბობს შემდეგს: „სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება განხორციელდეს სახვასდასხვა გზით, კერძოდ: სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება გამოიხატოს სამკვიდრო უძრავი ქონებით სარგებლობაში, ამ ქონებაში ცხოვრების ფაქტით, მისი მოვლა-პატრონობით, გაქირავებით, სამკვიდროში არსებული მოძრავი ნივთების დაუფლებითა და სარგებლობით.“<sup>98</sup>

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება შემთხვევა, როდესაც მემკვიდრეები სამკვიდროს არ იღებენ, რადგან სახეზე არიან მამკვიდრებლის კრედიტორები და არ სურთ მათი დაკმაყოფილება საკუთარი ნებით ან სურთ დროის მოგება, მიუხედავად იმისა, რომ იციან კრედიტორები სასამართლოს გზით მაინც დაიკმაყოფილებენ თავიანთ

---

<sup>94</sup> იხ. იქვე.

<sup>95</sup> იხ. იქვე.

<sup>96</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>97</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2000, 469.

<sup>98</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 3, 6-7, 14 თებერვალი, 2013 წელი, ქ.თბილისი

საქმე №28/4097-12. იხ ციტირება: ბაქრაძე, თ., სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლება, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2018, 37.

მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში, ისინი პირდაპირ შეუდგებიან სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას და ამასთანავე მართვას და სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ექვს თვიან ვადას გადააცილებენ. ასეთ დროს, მამკვიდრებლის კრედიტორებს რჩებათ მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი, შეიტანონ სარჩელი სასამართლოში და მოითხოვონ სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ექვს თვიანი ვადის გაგრძელება და სარჩელის გასამყარებლად ეყრდნობიან ძირითადად მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების შემთხვევას. „სამკვიდროს ფლობასა და მართვასთან დაკავშირებით, ლოგიკურად იბადება კითხვა რა იგულისხმება სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ ფლობასა და მართვაში? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა დაეხმარება კრედიტორს განსაზღვროს თუ ვინ შეუდგა მამკვიდრებლის ქონების ფლობასა და განკარგვას და ვისთან შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლება.“<sup>99</sup> სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების ფაქტს კი, როგორც წესი ადგენენ შემდეგი გარემოებების არსებობით: „ა) იმ ფაქტით, რომ მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნიდან სამკვიდროს მიღების ვადის ამოწურვამდე დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში ჰქონდა ერთიდაიგივე რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი. ამასთანავე, ეს ნორმა მოქმედებს მიუხედავად იმისა, რა უფლებრივი მიმართება ჰქონდა მამკვიდრებელს ან რა უფლებრივი მიმართება აქვს მემკვიდრეს იმ ბინის/სახლის მიმართ, რომელშიც იყვნენ ისინი რეგისტრირებულნი. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მემკვიდრე ფაქტობრივად დაეუფლა სამკვიდრო მასაში შემავალ მოძრავ ნივთებს ან სამკვიდრო მასაში შემავალ ბინას/საცხოვრებელ სახლს, რომელშიც ამ ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში მითითებულ დროის მონაკვეთში რეგისტრირებულნი იყვნენ მემკვიდრე და მამკვიდრებელი. ბ) მამკვიდრებლის კუთვნილი იმ დოკუმენტების ფაქტობრივად ფლობა, რომელიც ადასტურებს სამკვიდრო მასაში სატრანსპორტო საშუალების,

---

<sup>99</sup> შაბაშვილი ა., მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნის ფარგლები და მათი დაკმაყოფილების წესი, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019, 34-35.  
<<https://openscience.ge/bitstream/1/908/1/samagistro%20shabashvili.pdf>> [20.08.2020]

საბანკო ანგარიშზე თანხის, სახეობითი აქციის არსებობას; გ)საგადასახადო ორგანოს ცნობა, სადაზღვევო კომპანიის ცნობა, ბანკისცნობა იმის შესახებ, რომ მემკვიდრემ შეასრულა მამკვიდრებლის შეუსრულებელი საგადასახადო და/ან სახელშეკრულებო ვალდებულებები, ან მემკვიდრემ გადაიხადა სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებასთან დაკავშირებული გადასახადები (მაგალითად, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი) და/ან სადაზღვევო შენატანები. ამასთანავე, ესვალდებულებები შესრულებული უნდა იყოს სამკვიდროს მიღების ვადაში. დ)კომუნალური მომსახურების გადასახადების დამადასტურებელი ცნობები, ან ქვითრები, თუ შესაძლებელია მათში მითითებული გადამხდელის იდენტიფიკაცია. დ<sup>1</sup>)ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ, აგრეთვე ორდერი, სადაც ორდერში შეტანილ პირებში მითითებულია როგორც მამკვიდრებელი, ისე მემკვიდრე. ე) სხვა საჯარო დოკუმენტები.<sup>100</sup> აქ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ შემთხვევას მაინც როცა აქვს ადგილი, ითვლება რომ მემკვიდრე სამკვიდროს ფაქტობრივად დაეუფლა და ფლობს მას.<sup>101</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით განვიხილოთ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №ას-645-616-2016). განსახილველი საქმე ეხება ისეთ შემთხვევას, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მემკვიდრეები მამკვიდრებლის ვალისგან თავის არიდების მიზნით, კანონით დადგენილ ვადაში არ იღებენ სამკვიდროს, თუმცა ირკვევა, რომ სამკვიდროს ფაქტობრივად ფლობენ, მამკვიდრებლის კრედიტორები კი ითხოვენ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას, რაც როგორც ვნახეთ არც ისე მარტივია და მოითხოვს ფაქტობრივი ფლობის

<sup>100</sup> სიღამონიძე, ნ., სასაჯარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ კომენტარები, 85 მუხლი, <<https://www.notary.ge/geo-2738-sanotaro-moqmedebata-shesrulebis-cesis-shesaxe>> [23.05.2020]

<sup>101</sup> იხ. იქვე.

დადასტურებისთვის გარკვეული გარემოებების არსებობას. საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ „მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ორი მოპასუხის მიმართ, გარდაცვლილი მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების მემკვიდრეების – მოპასუხეების სახელზე აღრიცხვის შესახებ. მოსარჩელემ განმარტა, რომ 2012 წლის 27 ივნისს მოპასუხეთა აწ გარდაცვლილ მამკვიდრებელთან დადო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, თუმცა ნაკისრი ფულადი ვალდებულებანი კრედიტორს სიცოცხლეში არ შეუსრულებია. 2012 წლის 23 დეკემბერს მოვალე გარდაიცვალა. სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი 6 თვიანი ვადა ამოიწურა 2013 წლის 23 ივნისს, მაგრამ სამკვიდროს მისაღებად სამკვიდრო ქონებაზე არავის მიუმართავს. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებულის მიმართვითა და მეზობლების მიერ შედგენილი აქტით დადასტურდა ის გარემოება, რომ ამჟამად სამკვიდრო უძრავ ქონებას ფლობენ მოპასუხეები. ისინი თავს არიდებენ ვალდებულების შესრულებას და სწორედ ამ მიზეზით არ ახდენენ უძრავი ქონების საკუთარ სახელზე აღრიცხვას, რითიც ირღვევა მოსარჩელის უფლება და კანონიერი ინტერესი. მოპასუხეების პოზიცია არ იყო გამყარებული და მოპასუხეებმა მარტივი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს.“<sup>102</sup> აღნიშნულიდან ირკვევა, რომ მემკვიდრეებმა სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ვადაში არ მიმართეს სანოტარო ორგანოს სამკვიდროს მისაღებად, არც უარი განაცხადეს მასზე, თუმცა სამკვიდროს ფაქტობრივად დაეუფლნენ, რაზეც მოწმობს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართვა და მეზობელთა თანხმობები იმის შესახებ, რომ მემკვიდრეები ნამდვილად ფლობენ მას. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც თავის მხრივ მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. აპელაციაში აპელანტთა გამოუცხადებლობის გამო სარჩელი დარჩა განუხილველი, რაც კვლავ გასაჩივრდა საკასაციო წესით. ამ საქმეში

<sup>102</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება № 160210014609801;

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თუ არსებობს დადასტურებული გარემოებები, რაც უდავოდ მოწმობს იმაზე, რომ მემკვიდრეები ნამდვილად ფაქტობრივად ფლობენ სამკვიდროს, რაც სახეზეა, მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღებისაგან თავის არიდებას არანაირი აზრი არ აქვს და სასამართლო გზით მაინც დაკმაყოფილება კრედიტორი, მამკვიდრებლის ვალებისაგან თავის არიდების მცდელობა კი ამ შემთხვევაში შეიძლება შევაფასოთ მხოლოდ დროის დაკარგვად. სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოსაც აქვს განმარტება „სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამკვიდროს მიღება არის ცალმხრივი გარიგება, რაც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრის მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ მემკვიდრის ნებაზე სამკვიდროს მიღების შესახებ. ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ უნდა არსებობდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება და სამკვიდროს მიღების მიზნით განხორციელებული მოქმედებების არსებობის ფაქტი, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას. ასეთად კი მიიჩნევა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში და სხვა.“<sup>103</sup> შესაბამისად, მემკვიდრის ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში, სადაც მამკვიდრებელი ცხოვრობდა, მიიჩნევა სამკვიდროს მისაღებად განხორციელებულ ქმედებად.<sup>104</sup>

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან და სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ არის შემთხვევები, როდესაც მემკვიდრეები ფაქტობრივად ფლობენ და მართავენ სამკვიდრო ქონებას, რაც დასტურდება კანონით დადგენილი სხვა გზით, მაგრამ მათ სამკვიდრო არ მიუღიათ. ასეთ დროს, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი და მათ სხვა გზა აღარ რჩებათ გარდა სასამართლოში სარჩელის აღძვრისა, რის შემდგომაც

<sup>103</sup> იხ. ციტირება: აბულაშვილი თ., სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა, თბილისი, 2019, 35.

<sup>104</sup> იხ. იქვე.

როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობისა და მართვის დადასტურების შემთხვევაში და ამის დასადაგენად სათანადო დოკუმენტების წარდგენის დროს, სასამართლოს გზით მაინც მოხდება კრედიტორთა დაკმაყოფილება, ამიტომ მემკვიდრეების მხრიდან სამკვიდრო ქონების მიღებისგან თავის არიდება აზრს კარგავს და მხოლოდ დროის უშედეგო გამოყენებასა და გაგრძელებას ისახავს მიზნად, რადგან კრედიტორები ასეთ შემთხვევაში აუცილებლად მოითხოვენ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას.

#### **თავი IV. სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევა, როდესაც მემკვიდრე იურიდიული პირია**

აღნიშნულ თემაზე კვლევისას, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ, ასევე ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მემკვიდრე არის იურიდიული პირი და

ცდილობს თავი აარიდოს სამკვიდროს მიღებას, რათა მამკვიდრებლის კრედიტორები არ დაკმაყოფილდნენ. საინტერესოა, განვიხილოთ ყოველთვის შეუძლია თუ არა იყოს იურიდიულ პირს მემკვიდრე, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით იურიდიული ლიტერატურა და როგორ რეგულირდება ეს საკითხი კანონმდებლობის დონეზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი, განმარტავს დეტალურად თუ ვინ შეიძლება იყვნენ კანონით და ანდერძით მემკვიდრეები, ხოლო იურიდიულ პირს, როგორც მემკვიდრეს მოიხსენიებს მხოლოდ ანდერძით მემკვიდრეობის დროს „ბ) ანდერძით მემკვიდრეობისას – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.“<sup>105</sup>

ესეიგი, იურიდიული პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ანდერძით მემკვიდრე და იგი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მამკვიდრებელი.<sup>106</sup> ამასთანავე, კანონმდებელი ამბობს, რომ „ანდერძით მემკვიდრეობისას სამკვიდროს მისაღებად მოწვეული იქნება იურიდიული პირი, რომელიც შექმნილი იყო სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის,“<sup>107</sup> რაც თავისთავად გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც იურიდიული პირი სამკვიდროს გახსნის მომენტისთვის უკვე იყო შექმნილი.<sup>108</sup> იურიდიული პირის შექმნა კი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც საუბრობს იმაზე თუ რა დროიდან ითვლება იგი შექმნილად.<sup>109</sup>

საინტერესოა, უცხო ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს თუ არა სამკვიდროს მიღების შემთხვევას იურიდიული პირის შემთხვევაში და

<sup>105</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი.

<sup>106</sup> ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 1999, 378-379.

<sup>107</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1308-ე მუხლი.

<sup>108</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2000, 365.

<sup>109</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

რომელი გზით, ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ სამაგისტრო ნაშრომში აღნიშნულია, რომ „საზღვარგარეთის უმრავლესი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებით თითქმის ერთნაირად არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომლებიც შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები,“<sup>110</sup> ესეიგი როგორც ქართული კანონმდებლობით, ისე უცხო ქვეყნის კანონმდებლობით, განისაზღვრება იმ პირთა ჩამონათვალი, ვინც იღებს სამკვიდროს და ამასთანავე, „ანდერძით მემკვიდრეები კი შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები,“<sup>111</sup> ესეიგი იურიდიულ პირს, როგორც მემკვიდრეს, უცხო ქვეყნის კანონმდებლობაც მხოლოდ ანდერძით მემკვიდრეობის დროს მიიჩნევს.<sup>112</sup>

საინტერესოა, როგორია იურიდიული პირების პასუხისმგებლობა მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე და როგორ უნდა დარეგულირდეს საკითხი, თუკი იგი უარს იტყვის ანდერძით მემკვიდრეობაზე იმის გამო, რომ მამკვიდრებლის კრედიტორები არიან დასაკმაყოფილებლნი. როგორც ვიცით, თვით იურიდიული პირები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ თავიანთი ქონებით,<sup>113</sup> მაგრამ როგორ უნდა აგოს პასუხი ანდერძით მემკვიდრე იურიდიულმა პირმა მამკვიდრებლის წინაშე? ამ შეკითხვაზე პასუხს, საქართველოს კანონმდებლობა დეტალურად არ გვაძლევს, თუმცა აქაც უნდა ამოვიღეთ ზოგადად მემკვიდრეობის პასუხისმგებლობიდან კრედიტორების წინაშე. ასევე, უცხო ქვეყნის კანონმდებლობითაც ირკვევა,

---

<sup>110</sup> შაბაშვილი ა., მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნის ფარგლები და მათი დაკმაყოფილების წესი, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019, 7.

<sup>111</sup> იხ. იქვე.

<sup>112</sup> იხ. იქვე.

<sup>113</sup> ალანია შ., იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები იურიდიული პირის პასუხისმგებლობის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მაცნე, სამართალი #4, ISSN 2346-8483 (Online), თბილისი, 2015, 98.

რომ იურიდიული პირები, როგორც მემკვიდრეები ჩვეულებრივ აგებენ პასუხს მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე.<sup>114</sup>

აღნიშნულ შემთხვევაშიც, თუ მემკვიდრე იურიდიულ პირს არ სურს სამკვიდროს მიღება, რადგან არსებობენ მამკვიდრებლის კრედიტორები მაშინ როგორც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ, მან კანონით დადგენილი წესით უარი უნდა განაცხადოს სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მან შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ იგი მოწვეულია სამკვიდროს მისაღებად.<sup>115</sup> სამკვიდროზე უარის თქმა კი ცალმხრივ გარიგებად<sup>116</sup> ითვლება და მოქმედებს გარიგებისათვის დადგენილი პირობები. თუმცა როგორ შეიძლება მოიქცეს მემკვიდრე იურიდიული პირი თუ მან საერთოდ არ იცოდა, რომ მემკვიდრედ იყო მოწვეული, არც ის იცოდა, რომ მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნის დაკმაყოფილება მოუწევდა? ამ დროს შეგვიძლია, კვლავ სამოქალაქო კოდექსით ვიხელმძღვანელოთ და ისევ გამოვიყენოთ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადის დანაწესი. ამ დროს კოდექსი ამბობს, რომ უნდა არსებობდეს საპატიო მიზეზი<sup>117</sup> და მისი დადასტურების შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს გზით მოითხოვოს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადის გაგრძელება, სასამართლოს კი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში შეუძლია გაუგრძელოს ეს ვადა, თუმცა არაუმეტეს ორი თვისა.<sup>118</sup> აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც იურიდიულ პირს ანდერძით დაუტოვეს ქონება და მან ამ ანდერძის შესახებ შეიტყო მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ოთხი თვის შემდეგ, ამასთანავე შეიტყო, რომ მამკვიდრებელს გააჩნდა ვალები და იგი იყო ერთადერთი ანდერძისმიერი მემკვიდრე, ანუ თუ მიიღებდა სამკვიდროს,

<sup>114</sup> Johnson, E., Successor Liability: A Key Consideration for Business Acquisition Planning, FryBerger Law firm press, 2019. იხ. < <https://www.fryberger.com/articles/successor-liability-a-key-consideration-for-business-acquisition-planning/> > [18.08.2020]

<sup>115</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლი.

<sup>116</sup> იხ. იქვე, 50-ე მუხლი.

<sup>117</sup> <<http://www.supremecourt.ge/kitxvebi/?page=detail&id=6>> [20.07.2020]

<sup>118</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლი.

მამკვიდრებლის ვალების გასტუმრებაც მას მოუწევდა<sup>119</sup> და ვინაიდან მას არ სურდა მამკვიდრებლის მიერ დანატოვარი ვალების გასტუმრება კრედიტორების წინაშე, სამკვიდროს მიღებაზე უარს ამბობს ანუ სახეზე გვაქვს, სწორედ სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევა იურიდიული პირის მხრიდან, როდესაც მან შეიტყო მამკვიდრებლის მიერ კრედიტორების წინაშე ვალდებულების შესახებ. თუ ვიმსჯელებთ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის სამ თვიანი ვადა<sup>120</sup> უკვე გასულია, მაშინ როგორ უნდა გადაწყდეს მემკვიდრისა და მამკვიდრებლის კრედიტორების ბედი? მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ კვლავ ამ მუხლით და მემკვიდრე იურიდიულმა პირმა სასამართლოს მეშვეობით უნდა მოითხოვოს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადის გაგრძელება, რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი და თუ სასამართლო მემკვიდრის მიერ დასახელებულ მიზეზებს საპატიოდ<sup>121</sup> მიიჩნევს, მაშინ გაუგრძელებს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადას არაუმეტეს ორი თვისა.<sup>122</sup> თუმცა, აქვე საინტერესოა ის შემთხვევაც, თუ სასამართლომ გაუგრძელა აღნიშნული ვადა ორი თვით და მემკვიდრემ თქვა უარი, მაშინ როგორ უნდა დაკმაყოფილდეს მამკვიდრებლის კრედიტორის მოთხოვნა, მაშინ აქაც, როგორც ზემოთ თავებში საუბრისას აღვნიშნე, სამკვიდროს მემკვიდრე აღარ ეყოლება, რადგან ეს იურიდიული პირი იყო ერთადერთი მემკვიდრე და სამკვიდრო დარჩება, როგორც უმკვიდრო ქონება და იმოქმედებს უმკვიდრო ქონებისთვის დადგენილი წესები.<sup>123</sup>

შესაბამისად, მემკვიდრე იურიდიულ პირზე საუბრისას, მხედველობაში ყოველთვის უნდა გვქონდეს ის ფაქტი, რომ იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ანდერძით მემკვიდრე და მხოლოდ ანდერძით

---

<sup>119</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2000, 513-514.

<sup>120</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლი.

<sup>121</sup> <<http://www.supremecourt.ge/kitxvebi/?page=detail&id=6> > [20.07.2020]

<sup>122</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლი.

<sup>123</sup> იხ. იქვე, 1492-ე მუხლი.

მემკვიდრეობის დროს მიიღოს ქონება,<sup>124</sup> თუმცა სამკვიდროს მიუღებლობისა და მამკვიდრებლის კრედიტორების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მის მიმართაც ჩვეულებრივ გამოიყენება კანონით დადგენილი წესები.

**თავი V. რეკომენდაცია, სამკვიდროს მიუღებლობაზე,  
როგორც მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ  
მემკვიდრის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების  
შემთხვევა**

---

<sup>124</sup> იხ. იქვე, 1307-1308-ე მუხლი.

საქართველოს კანონმდებლობით, არ არის განსაზღვრული ნორმები, რომლებიც მოაწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტია სახეზე იმ მიზნით, რომ მემკვიდრეებმა თავი აარიდონ მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობას. მსგავსი შემთხვევების მოსაწესრიგებლად, ვიყენებთ ხოლმე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებს ან მემკვიდრეობითი სამართლის იმ ნორმებს, რომელიც დაახლოებით მაინც მიესადაგება მხარეებს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტას. თუმცა, ვერც იმით დავიკვებნით, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება აღნიშნული ფაქტები. არც იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნულთან დაკავშირებით ბევრი მოსაზრება გამოთქმული, ერთ-ერთ ნაშრომში ვკითხულობთ „დღევანდელი მოცემულობით სამემკვიდრეო დავებზე, განსაკუთრებით კი მამკვიდრებლის კრედიტორებთან დაკავშირებულ დავებზე, მოსამართლეებს ნორმების ინტერპრეტაციის გზით უწევთ სასამართლო პრაქტიკის შემუშავება, რადგან მხოლოდ ქართულ სამართალში არსებული ნორმებზე დაყრდნობით შეუძლებელია ობიექტური გადაწყვეტილების მიღება, რადგან არსებული ნორმები, სამწუხაროდ, პასუხს ვერ იძლევიან რეალობაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით,“<sup>125</sup> რაც ვფიქრობ, რომ მართალია. სამოქალაქო კოდექსით, გათვალისწინებულია წესები, რომლებიც აწესრიგებს კრედიტორების დაკმაყოფილებას მემკვიდრეთა მიერ,<sup>126</sup> თუმცა არაფერს ამბობს იმ შემთხვევაზე, როდესაც მემკვიდრე არ იღებს სამკვიდროს სწორედ იმ მოტივით, რომ დასაკმაყოფილებელია მამკვიდრებლის კრედიტორი. როგორ უნდა გადაწყდეს აღნიშნული შემთხვევა? რა სირთულეებს და გამოწვევებს უკავშირდება ეს?

ამ შეკითხვებს, რომ გაეცეს პასუხები, შემოთავაზებული მაქვს რამდენიმე რეკომენდაცია.

---

<sup>125</sup> შაბაშვილი ა., მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნის ფარგლები და მათი დაკმაყოფილების წესი, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019, 57.

<sup>126</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მე-12 თავი.

როგორც ვნახეთ, მემკვიდრემ სამკვიდროზე უარი უნდა განაცხადოს სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც შეიტყო რომ მოწვეულია სამკვიდროს მისაღებად,<sup>127</sup> მაგრამ რატომ ამბობს უარს იგი სამკვიდროს მისაღებად? ამ კითხვის პასუხად კანონმდებლობა იხილავს მხოლოდ ერთადერთ შემთხვევას, როდესაც მემკვიდრე ამბობს უარს სამკვიდროზე სხვა პირთა სასარგებლოდ, ეს პირები კი შეიძლება იყვნენ მხოლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა წრიდან.<sup>128</sup> სხვა შემთხვევებს კანონმდებელი არც ნორმატიულ მასალაში არ გვიწერს და არც იურიდიულ ლიტერატურაში აკეთებს რაიმე მითითებას. რეალობაში, არსებობს სხვა შემთხვევებიც, როდესაც სამკვიდროს მიუღებლობის ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ დასაკმაყოფილებლნი არიან მამკვიდრებლის ერთი ან რამდენიმე კრედიტორი. რა მოხდება ასეთ დროს? ასეთ დროს, მემკვიდრე არ იღებს სამკვიდროს, ან არც უარს ამბობს მასზე და არც განცხადებას წარადგენს მის მისაღებად სანოტარო ორგანოში.<sup>129</sup>

რა უნდა მოიქმედოს კრედიტორმა ამ დროს? ან როგორ უნდა დარეგულირდეს მსგავსი პრობლემები? შესაბამისად, არც ამ შეკითხვებზეა პასუხი კანონმდებლობაში.

ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში, განხილულია სწორედ ის ძირითადი საკითხები, რა პრობლემებსაც იწვევს სამკვიდროს მიუღებლობის ეს შემთხვევა. ნაშრომში განვიხილე მთლიანი სამკვიდროს ან მისი ნაწილის მიუღებლობა. მაგალითად, თუ გვყავს ორი მემკვიდრე და სამკვიდრო მასა საერთო ჯამში შეადგენს 50 000 ლარს, ხოლო მამკვიდრებლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე არის 80 000 ლარი, მოსალოდნელიც კია, რომ ორივე მემკვიდრემ სამკვიდროს მიღებას თავი აარიდოს, და დავუშვათ ასეც მოხდა, ორივემ შეიტანა განცხადება სანოტარო ორგანოში სამკვიდროს მიუღებლობის შესახებ, სახეზე იყვნენ

---

<sup>127</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლი.

<sup>128</sup> იხ. იქვე, 1439-ე მუხლი.

<sup>129</sup> იხ. იქვე, 1421-ე მუხლი.

სხვა რიგის მემკვიდრეებიც, თუმცა არცერთ არ სურს, რომ მიიღოს სამკვიდრო. ამ დროს კრედიტორების პასუხისმგებლობა საფრთხის ქვეშ დგება და არსებობს მოსალოდნელი საფრთხე, რომ ისინი დარჩნენ დაუკმაყოფილებელნი. ასეთ დროს, ძირითადად, სასამართლოს გზით ხდება ხოლმე კრედიტორთა დაკმაყოფილება, რაც დიდ დროს უკავშირდება და შესაძლოა რამდენიმე წელიც კი გაგრძელდეს დავა. ამ შემთხვევის მოსაწესრიგებლად, უპრიანი ხომ არ იქნება, რომ ასეთი ქონება მივაკუთვნოთ უმკვიდრო ქონებას, ვინაიდან უმკვიდრო ქონების შემთხვევაში, სამკვიდრო გადადის სახელმწიფოზე. ასეთი ქონების გადასვლა სახელმწიფოზე და შემდგომ სახელმწიფოს მიერ მაკვიდრებლის კრედიტორის დაკმაყოფილება უმჯობესი იქნება და დროც ბევრი არ დასჭირდება, რადგან სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, უმკვიდრო ქონებად ვაიგივებთ ისეთ შემთხვევას როცა „არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო“ და ზემოაღნიშნული ფაქტები: მემკვიდრის მიერ მთლიანი სამკვიდროს ან მისი ნაწილის მიუღებლობა, შეგვიძლია დავაკავშიროთ უმკვიდრო ქონებასთან, აქ ხომ სახეზე მემკვიდრეები აღარ დარჩნენ, რადგან არც ერთი მემკვიდრე არ იღებს მას და ამ დროს გადადის სახელმწიფოზე ქონება, სახელმწიფო კი უარს ვერ იტყვის მის მიღებაზე, მიუხედავად იმისა ამ ქონებაზე ვინმეს მოთხოვნა გააჩნია თუ არა.<sup>130</sup> თუ ეს ქონება უკვე სახელმწიფოს ეკუთვნის, მაშინ სამოქალაქო კანონმდებლობა მას პასუხისმგებლობას აკისრებს და ამბობს, რომ „უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლისას სახელმწიფო პასუხს აგებს უმკვიდრო ქონების შესაბამისი ნაწილით მამკვიდრებლის ვალებზე ისე, როგორც მემკვიდრე.“<sup>131</sup> შესაბამისად, ასეთი რეკომენდაციის შედეგი იქნება ის, რომ მამკვიდრებლის კრედიტორები იქნებიან მეტად დაზღვეულნი და იმ შემთხვევისთვის თუ მემკვიდრეები უარს იტყვიან სამკვიდროს მიღებაზე და ქონებას მემკვიდრე არ ეყოლება, მამკვიდრებლის კრედიტორს უკვე ეცოდინება, რომ ეს ქონება ავტომატურად აღირიცხება უმკვიდრო ქონების

<sup>130</sup> იხ. იქვე, 1444-ე მუხლი.

<sup>131</sup> იხ. იქვე, 1492-ე მუხლი.

ნუსხაში და სახელმწიფო იქნება პასუხისმგებელი ამ ქონებასთან დაკავშირებული ვალდებულებებისთვის, ამიტომ კრედიტორებს აღარ მოუწევთ სასამართლოს გზით თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება და პირდაპირ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, რადგან ის განიხილება, როგორც მემკვიდრე. ეს კი უფრო ნაკლებ დროშიც იქნება შესაძლებელი და მამკვიდრებლის კრედიტორს მისცემს გარანტიას იმ შემთხვევისთვის, თუ მემკვიდრე თავს აარიდებს სამკვიდროს მიღებას, რათა მან პასუხი არ აგოს მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე.

კიდევ სხვა შემთხვევა, რა დროსაც მემკვიდრე სამკვიდროს მიღებას თავს არიდებს არის ისეთი ფაქტი, როდესაც სახეზეა არა ერთი, არამედ რამდენიმე კრედიტორი. როგორ უნდა დაკმაყოფილდნენ ამ დროს კრედიტორები, როგორ განისაზღვრება მათი დაკმაყოფილების რიგითობა და წესები? რა ბედი ეწევა ასეთ დროს სამკვიდრო ქონებას? არც ამ შეკითხვების პასუხს გვაძლევს სამოქალაქო კოდექსი. ამასთან დაკავშირებით, კანონმდებელი გვთავაზობს ერთ ნორმას „კრედიტორთა მოთხოვნები მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.“<sup>132</sup> აქ კანონმდებელს არც კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა და არც სხვა რაიმე წესი არ აქვს გათვალისწინებული. განიხილავს მხოლოდ ერთჯერადი გადახდის გზით დაკმაყოფილებას, თუ თვითონ კრედიტორები და მემკვიდრეები სხვა სახით გადახდაზე არ შეთანხმდებიან, მაგალითად ნაწილობრივ ან ნაწილ-ნაწილ ან კიდევ სხვა საშუალებით.<sup>133</sup> აქ უნდა გავითვალისწინოთ ასევე ვალის დაბრუნების ვადის დადგომა, თუ რა დროს მოუწევდა მამკვიდრებელს ვალის გადახდა.<sup>134</sup> ამასთანავე, ეს გაიგივებულია შესრულების მოთხოვნის მომენტთანაც,<sup>135</sup> რაც თავისთავად

<sup>132</sup> იხ. იქვე, 1494-ე მუხლი.

<sup>133</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2000, 520.

<sup>134</sup> ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005, 21.

<sup>135</sup> იხ. იქვე.

გულისხმობს მოთხოვნის ვადის განსაზღვრას, მაგრამ თუ არ არის ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული მაშინ სესხის დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას<sup>136</sup>, მამკვიდრებლის გარდაცვალება კი აქ შეიძლება გაივივდეს ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტასთანაც. არაქვე, ჩემი აზრით, პირველ რიგში, როცა ვსაუბრობთ მამკვიდრებლის რამდენიმე კრედიტორზე და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების წესზე, იმ შემთხვევაში როცა მემკვიდრე თავს არიდებს სამკვიდროს მიღებას და წარმოიშობა ან წარმოშობილია დავა მათ შორის, მემკვიდრემ პირველ რიგში უნდა დააკმაყოფილოს ის კრედიტორი, რომელთანაც მამკვიდრებელმა პირველი დადო ხელშეკრულება, ამის მტკიცების ტვირთი კი უნდა დაეკისროს თვით კრედიტორს. მაგალითისთვის, თუ მამკვიდრებელს ჰყავდა სამი კრედიტორი, პირველთან ვალდებულება იკისრა 2015 წლის 10 მარტს 15 000 ლარის მოცულობით, მეორესთან 2015 წლის 12 სექტემბერს 300 ლარის მოცულობით, ხოლო მესამესთან 2017 წლის 27 იანვარს 20 000 ლარის მოცულობით, ჯერ პირველ რიგში, უნდა დაკმაყოფილდეს პირველი კრედიტორი, შემდეგ მეორე და ასე შემდეგ, რა თქმა უნდა, სამკვიდრო მასის პროპორციულად, რაზეც ზემოთ მოყვანილ თავებში მქონდა საუბარი. ამ დროს, კრედიტორებს ეცოდინებათ თუ ჯერ ვისი დაკმაყოფილების ჯერი დადგება და რა მოცულობით. თუ მემკვიდრე სამკვიდროს მიღებას თავს არიდებს, კრედიტორთა სიმრავლის გამო და არც ის იცის, როგორ უნდა დაკმაყოფილდნენ ისინი, თუ კანონი გაითვალისწინებს მათი დაკმაყოფილების ასეთ ნორმას, შესაძლოა დავები უფრო მარტივად გადაწყდეს, ან მოხდეს შეთანხმება კრედიტორებსა და მემკვიდრეებს შორის.

ნაშრომში აგრეთვე ვისაუბრე ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც მამკვიდრებლის კრედიტორი ითხოვს მემკვიდრისთვის სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას ისეთ დროს, როცა მემკვიდრე არ წარადგენს სამკვიდროს მისაღებად განცხადებას, თუმცა არც უარს ამბობს და აგრეთვე

---

<sup>136</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი 2012, 22.

არ იღებს მას, თუმცა ფაქტობრივად დაეუფლა. საინტერესოა, რა უნდა მოხდეს ასეთ დროს და როგორ უნდა მოვაწესრიგოთ კანონმდებლობით ასეთი ფაქტები. აღნიშნულ თემაზე მუშაობისას, სასამართლო პრაქტიკაში, ყველაზე ხშირად შეხვდა ფაქტები, როდესაც მემკვიდრეები დადგენილ ვადაში, არც იღებენ სამკვიდროს და არც უარს ამბობენ მასზე, თუმცა ფაქტებით დგინდება, რომ ისინი მას დაეუფლენ და მართავენ,<sup>137</sup> ამ დროს მამკვიდრებლის კრედიტორები არიან დასაკმაყოფილებლნი. ძირითად შემთხვევაში, მხარეებს შორის შეთანხმება ვერ ხდება და ამიტომ კრედიტორები მიმართავენ სასამართლოს, რომ აღდგეს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა, მიიღონ მემკვიდრეებმა სამკვიდრო და დააკმაყოფილონ კრედიტორები, ხოლო მამკვიდრებლის მხრიდან კი მოდის მტკიცება იმისა, რომ ისინი არ დაუფლებიან სამკვიდროს და არ მართავენ მას. სამკვიდროს მიუღებლობისგან თავის არიდების ძირითადი მიზეზი, აქაც არის მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე მემკვიდრის პასუხისმგებლობაა, სწორედ ამიტომ არ იღებენ სამკვიდროს კანონით დადგენილი წესით და არც უარს ამბობენ მასზე, თუმცა კრედიტორის მიერ სასამართლოში სარჩელის აღძვრის და დავის განხილვის დროს, ნამდვილად დასტურდება ხოლმე, რომ მემკვიდრეები ფლობენ და მართავენ სამკვიდროს. ვფიქრობ, თუ ასეთ დროს სამკვიდროს მიუღებლობისგან თავის არიდებას აქვს ადგილი და დადგენილია, რომ მემკვიდრე ფაქტობრივად ფლობს და მართავს მას, თუ კანონმდებელი გაითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმას, ასეთი ფაქტები შემცირდება და მემკვიდრეები აღარ აარიდებენ თავს სამკვიდროს მიღებას. ასე მაგალითად, თუ მამკვიდრებლის მიერ დანატოვარი სამკვიდრო მასა, შეადგენს 150 000 ლარს და მამკვიდრებელს კრედიტორის წინაშე აქვს ვალდებულება 100 000 ლარის ოდენობით, მემკვიდრე ფიქრობს, რომ იგი მხოლოდ ფაქტობრივად დაუფლების გზით გამოიყენებს სამკვიდროს და თუ კანონით დადგენილი წესით არ მიიღებს

---

<sup>137</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1447-ე მუხლი.

მას, ეს ხელს არ შეუშლის ქონებით სარგებლობაში, რადგან სამკვიდრო ქონება საკმაოდ დიდი ღირებულებისაა და რომ მიიღოს ის მოუწევს კრედიტორის დაკმაყოფილება მიღებული წილის პროპორციულად<sup>138</sup> და მას დარჩება მხოლოდ 50 000 ლარი, ამიტომ არ შეაქვს განცხადება მის მისაღებად, მაგრამ არც უარს ამბობს, მიზეზი კი კრედიტორების დაუკმაყოფილებლობაა. ამიტომ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების სწორად და სამართლიანად წარმართვისთვის, მასში მონაწილე პირების უფლებათა დასაცავად, ვფიქრობ კარგი იქნებოდა ასეთ ფაქტზე დაწესებულიყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახე, რადგან სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები ვერ უზრუნველყოფენ სათანადოდ ასეთი შემთხვევების მოწესრიგებას. შედეგად, მემკვიდრეები გახდებოდნენ იძულებულნი მიეღოთ სამკვიდრო ყველა შემთხვევაში, არ აერიდებინათ მის მიღებაზე თავი და დაეკმაყოფილებინათ მამკვიდრებლის კრედიტორი.

რაც შეეხება, მემკვიდრე იურიდიული პირების მიერ სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, ვინაიდან ისინი განიხილებიან, როგორც მემკვიდრეები მხოლოდ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის დროს<sup>139</sup> აქაც კარგი იქნებოდა, კანონმდებელს მოეწესრიგებინა და ნორმით გაეთვალისწინებინა, რომ სამკვიდროს მიუღებლობა ანუ მასზე უარის თქმა იმ მოტივით არ შეძლებოდა იურიდიულ პირს, რომ მოუწევდა მამკვიდრებლის კრედიტორის დაკმაყოფილება და დაევალებულეებინა ანდერძშივე მამკვიდრებელს მემკვიდრე იურიდიული პირი, რომ დაეკმაყოფილებინა მისი კრედიტორი, მაგალითად საანდერძო დანაკისრით,<sup>140</sup> რომლითაც განსაზღვრავს აგრეთვე მისი კრედიტორების დაკმაყოფილებას სამკვიდროში შემავალი

---

<sup>138</sup> იხ. იქვე, 1484-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>139</sup> იხ. იქვე, 1307-ე მუხლი.

<sup>140</sup> იხ. იქვე, 1383-ე მუხლი.

ქონებიდან,<sup>141</sup> ხოლო რა ფარგლებში უნდა შესრულდეს და როგორ საანდერძო დანაკისრი ამას კანონი განსაზღვრავს.<sup>142</sup>

აგრეთვე, ნაშრომში რეკომენდაციის სახით აღნიშნული შემთხვევების მოსაწესრიგებლად დავამატებდი არადაინტერესებული მხარის ჩართვას სამკვიდროს გაყოფის პროცესში, კერძოდ სამკვიდროს მმართველის მოწვევას<sup>143</sup> ასეთი სახის დავების წარმოშობის დროს და კრედიტორებს, იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრეების მხრიდან აშკარად გამოიკვეთა სამკვიდროს მიღებისგან თავის არიდების ფაქტები მივცემდი შესაძლებლობას აეყვანათ სამკვიდროს მმართველი<sup>144</sup>, რომელიც სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე მხარეებს შორის დავის მოგვარებად შეეცდებოდა, ან კარგი იქნებოდა, ისეთი ორგანოს ჩამოყალიბება, რომელიც აღნიშნულ შემთხვევებს გადაჭრიდა.

ნაშრომში აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, განხილული საკითხის საკანონმდებლო სივრცეში მოქცევა, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე მხარეებს მსგავსი ტიპის შემთხვევის მოსაგვარებლად.

## დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომიდან გამომდინარე, ნათელი გახდა, რომ საჭიროა აღნიშნული საკითხი მოწესრიგდეს საკანონმდებლო დონეზე, კერძოდ, სამოქალაქო ნორმებით დარეგულირდეს სამკვიდროს

---

<sup>141</sup> იხ. იქვე, 1384-ე მუხლი.

<sup>142</sup> იხ. იქვე, 1387-ე მუხლი.

<sup>143</sup> იხ. იქვე, 1498-ე მუხლი.

<sup>144</sup> იხ. იქვე, 1498-ე მუხლი.

მიუღებლობა, როგორც მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ მემკვიდრის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისგან, სადაც განვიხილეთ ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხები ქვეთავების სახით და გამოვყავი ის ძირითადი შემთხვევები, რა დროსაც მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიუღებლობა გვქონდა სახეზე, ვინაიდან მას თავი აერიდებინა მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობისგან. ზემოაღნიშნულ თავებში, დეტალურად გავამახვილეთ ყურადღება, როგორც მთლიანი სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევაზე, ასევე მისი ნაწილის მიუღებლობაზე და გავანალიზებ რა შედეგებს უკავშირდება ეს, როგორ შეიძლება მოიქცეს კრედიტორი ამ დროს, როგორ დაიკმაყოფილოს მისი მოთხოვნა, გამოვყავი, როგორც ერთი მამკვიდრებლის კრედიტორის მიერ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევა, ასევე კრედიტორთა სიმრავლის დროს არსებული ვითარება. ვიმსჯელებ პრაქტიკაში გავრცელებულ მაგალითებზე დაყრდნობით და ასევე, გამოვყავი ორი შემთხვევა, რა დროსაც სამართლებრივი შედეგი სხვადასხვაგვარად დგება, კერძოდ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნაზე კრედიტორის მიერ, როცა მემკვიდრე არც უარი უთქვამს სათანადო წესით სამკვიდროს მიღებაზე და არც მის მისაღებად წარუდგენია განცხადება სანოტარო ორგანოში, აქვე ქვეთავის სახით ვისაუბრებ იმ ფაქტზეც, როცა მემკვიდრეს სამკვიდრო არ მიუღია, მაგრამ ფაქტობრივად მას დაეუფლა, რა დროსაც ფლობის და მართვის ფაქტის მტკიცება კრედიტორის ვალდებულებაა. მხედველობიდან არ გამომრჩენია სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევა, არც იურიდიული პირის შემთხვევაში, რადგან დღითიდღე იმატებს იურიდიული პირების რაოდენობა, არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში და მათი, როგორც ანდერძით მემკვიდრედ განხილვა მნიშვნელოვანია.

ნაშრომსა და ფაქტებზე მსჯელობაში მოყვანილი მაგალითები გვარწმუნებს წამოჭრილი საკითხის პრობლემურობაში, გამოირკვა ისიც, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში სამკვიდროს მიუღებლობის

შემთხვევები მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების გამო არც თუ ისე იშვიათია. შესაბამისად, ქართული რეალობა აჩვენებს იმას, რომ მემკვიდრეთა მიზანი სამკვიდროდან მხოლოდ სარგებლის მიღებაა და თუ მამკვიდრებელს აქვს ნაკისრი ვალდებულებები კრედიტორების წინაშე, მემკვიდრეები თავს აარიდებენ სამკვიდროს მიღებას.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, მემკვიდრეობის თავში, უნდა განხორციელდეს ცვლილებები ნაშრომით განხილული რიგი საკითხების მოსაგვარებლად.

ვიმედოვნებ, სამაგისტრო ნაშრომში ასახული პრობლემები და რეკომენდაციათა ჩამონათვალი წვლილს შეიტანს მსგავს საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრასა და დარეგულირებაში.

## **ბიბლიოგრაფია**

### **სამეცნიერო ლიტერატურა**

1. ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა ბონა-კაუზა, ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007

2. ალანია შ., იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები იურიდიული პირის პასუხისმგებლობის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მაცნე, სამართალი #4, ISSN 2346-8483 (Online), თბილისი, 2015
3. აბულაშვილი თ., სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019
4. აბულაძე ლ., სამკვიდროს მიღება და მემკვიდრეთა ინტერესების დაცვის მექანიზმები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019
5. ბაგრატიონი ლ., უფლებამონაცვლეობის საკითხები მემკვიდრეობის სამართალში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მაცნე, სამართალი #4, ISSN 2346-8483 (Online), თბილისი, 2015
6. ბაქრაძე თ., სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლება, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2018
7. ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005
8. ნინუა ე., სამკვიდროს მიღების ზოგიერთი თავისებურებები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #2/18, 2018 წელი
9. ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019, ISBN 978-9941-8-1948-3 (online)
10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2000
11. ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, გამომცემ. იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2015
12. შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011
13. შაბაშვილი ა., მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნის ფარგლები და მათი დაკმაყოფილების წესი, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019
14. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999
15. ჩუბინიძე თ., მემკვიდრეობის მიღებისა და მასზე უარის თქმის ვადები სასამართლო გადაწყვეტილებებში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019
16. ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012

17. Adam J. Hirsch, American History of Inheritance Law, OXFORD INTERNATIONAL ENCYCLOPEDIA OF LEGAL HISTORY, Stanley N. Katz ed., 2009
18. Cavanaugh K.W., Problems In The Law of Succession: Creditors' Rights, 48 La. L. Review, 1988
19. Domingo, R., The Roman Law of Succession. An Overview, University of Navarra - School of Law, 2017
20. Ellul, A., Pagano, M., Panunzi, F., Inheritance Law and Investment in Family Firms, 2010
21. Johnson, E., Successor Liability: A Key Consideration for Business Acquisition Planning, FryBerger Law firm press, 2019
22. Mishra, A., Breaking Silence - Christian Women's Inheritance Rights under Indian Succession Act, 1925. Chotanagpur Law Journal, No. 9, Vol. 9, 2014-15
23. Sousa, L., The family inheritance process: motivations and patterns of interaction, 2010
24. Wormser R. A., Burchard A., ADMINISTRATION OF GERMAN DECENTENTS' ESTATES, 1934.

### **სამართლებრივი აქტები**

25. საქართველოს კონსტიტუცია
26. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
27. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
28. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
29. საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი
30. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ
31. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქცია

### **სასამართლო გადაწყვეტილებები**

32. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება , II. პ .75
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება №ას-883-833-2015
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება № 160210014609801
35. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 3, 6-7, 14 თებერვალი, 2013 წელი, ქ.თბილისი საქმე №2ბ/4097-12

### ინტერვიუ

36. ინტერვიუ ნოტარიუს დავით ოყროშიძის ყოფილ თანაშემწესთან არჩილ ხუციძესთან (ამჟამად ნოტარიუსის შემცვლელთა სიაში, ნოტარიუსობის კანდიდატი), [21.08.2020]

### ელექტრონული რესურსი

37. <<http://www.gccc.ge/>> [20.05.2020]
38. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=111>> [15.03.2020-25.08.2020]
39. <[https://www.researchgate.net/publication/226734632\\_The\\_family\\_inheritance\\_process\\_Motivations\\_and\\_patterns\\_of\\_interaction](https://www.researchgate.net/publication/226734632_The_family_inheritance_process_Motivations_and_patterns_of_interaction)> [11.06.2020]
40. <<https://scholar.google.com/>> [18.03.2020-25.08.2020]
41. <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> [20.04.2020, 20.07.2020]
42. <<https://www.notary.ge/geo-2738-sanotaro-moqmedebata-shesrulebis-cesis-shesaxeb>> [23.05.2020]
43. <<https://opensecience.ge/bitstream/1/908/1/samagistro%20shabashvili.pdf>> [20.08.2020]
44. <<https://www.fryberger.com/articles/successor-liability-a-key-consideration-for-business-acquisition-planning/>> [18.08.2020]
45. <<http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>> [11.04.2020]
46. <[https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=982428](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=982428)> [22.08.2020]
47. <[https://e-justice.europa.eu/content\\_succession-166-pl-en.do#toc\\_1](https://e-justice.europa.eu/content_succession-166-pl-en.do#toc_1)> [11.04.2020, 22.04.2020]

48. <[https://www.cali.org/sites/default/files/FINAL\\_Word\\_July272016\\_Cover\\_Lewis\\_Wills\\_website.pdf](https://www.cali.org/sites/default/files/FINAL_Word_July272016_Cover_Lewis_Wills_website.pdf)> [14.07.2020]